პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

საბანკო მომსახურების პირობები

სარჩევი

კარი I / თავი I / შესავალი	5
კარი II / თავი I / ზოგადი ნაწილი	6
კარი III / თავი I / კერძო ნაწილი	13
თავი II / საბანკო ანგარიშები	14
თავი III / ანაბრები	18
თავი IV / პლასტიკური ბარათები	22
თავი V / ინტერნეტ ბანკინგი	33
თავი VI / ავტომატური გადარიცხვები	38
თავი VII / SMS მომსახურება	40
თავი VIII / სატელეფონო პინ-კოდი	41
თავი IX / საბანკო მომსახურების პაკეტები	42
თავი X / პოს-ტერმინალი	45

კარი I

თავი I

შესავალი

მუხლი 1.

1. საბანკო მომსახურების პირობები (შემდგომში „საბანკო მომსახურების პირობები“ ან „წინამდებარე დოკუმენტი“) არეგულირებს ურთიერთობებს სს ,,პროკრედიტ ბანკსა („ბანკი“) და კლიენტ(ებ)ს შორის, წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების (შემდგომში ,,ხელშეკრულება“) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განსაზღვრავს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე გასაწევი საბანკო მომსახურების/პროდუქტის შინაარსს, ყველა პირობას და მხარეთა ყველა უფლება-მოვალეობას.

2. წინამდებარე დოკუმენტი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

3. ზოგად ნაწილში მოცემულია ის მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც საერთოა წინამდებარე დოკუმენტის კერძო ნაწილში მოცემული ბანკის ყველა მომსახურებისათვის/ პროდუქტისათვის და შესაბამისად, აღნიშნული მომსახურებების/პროდუქტების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის.

4. კერძო ნაწილში წარმოდგენილია ცალკეული საბანკო მომსახურების/პროდუქტის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ინდივიდუალურია თითოეული ამ მომსახურებისათვის/პროდუქტისათვის. კერძო ნაწილში მოცემული თითოეული საბანკო მომსახურების გაწევის/პროდუქტის მიღების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტი და შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებზე სრულად მოქმედებს და ვრცელდება წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული საბანკო მომსახურების პირობები. ხელშეკრულება მოქმედებს უვადოდ, თუ თავად ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

5. კერძო ნაწილში მოცემული თითოეული საბანკო მომსახურება/პროდუქტი შესაძლოა შეიცავდეს საერთო და სპეციალურ დებულებებს.

6. ხელშეკრულების შინაარსის, საბანკო მომსახურების/პროდუქტის პირობების და მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის პირველ რიგში გამოიყენება კერძო ნაწილი (მისი სპეციალური და საერთო დებულებები), ხოლო შემდეგ წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილი. ის საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული კერძო ნაწილით, წესრიგდება წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილით.

7. კერძო ნაწილში მოცემული კონკრეტული საბანკო მომსახურების/პროდუქტის რეგულირებისას პირველ რიგში მხედველობაში მიიღება თითოეული მომსახურების/ პროდუქტის სპეციალური დებულებები, ხოლო შემდეგ თითოეული მომსახურების/ პროდუქტის საერთო დებულებები.

8. ორივე ნაწილი (ზოგადი და კერძო) განიხილება ერთ მთლიანობად და შესასრულებლად თანაბრად სავალდებულოა მხარეთათვის.

9. საბანკო მომსახურების პირობები სახელშეკრულებო ხასიათისაა და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის.

10. საბანკო მომსახურების პირობები მოცემულია როგორც ბანკის ოფისებში, ასევე ბანკის ვებ გვერდზე www.procreditbank.ge და კლიენტს თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გაეცნოს მას.

კარი II

თავი I

ზოგადი ნაწილი

მუხლი 2.

1. კლიენტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ნებისმიერი სახის) სუბიექტი ან ორგანიზაციული წარმონაქმნი, მიუხედავად იმისა, ითვლება თუ არა ის იურიდიულ პირად.

2. ტერმინი „კლიენტი“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონტექსტის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ კლიენტს, ასევე რამდენიმე კლიენტს ერთად.

3. კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ისეთი ოპერაციების შესრულება, რომელიც დადგენილია ბანკის წესების მიხედვით.

4. ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების გაწევის/საბანკო პროდუქტის გამოყენებისათვის კლიენტი იხდის ბანკის მიერ დადგენილ საფასურს, სხვადასხვა საკომისიო(ებ)ს და/ან სხვა სახის გადასახდელ თანხებს, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით. კლიენტი ვალდებულია ყოველი ოპერაციის/ტრანზაქციის განხორციელების და გარიგების დადების წინ გაეცნოს ტარიფებს. ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, წინასწარ უნდა იქნას დაფარული ბანკის საკომისიო(ები)/საფასური/სხვა გადასახდელი თანხები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევაზე/საბანკო პროდუქტის მიწოდებაზე (მათ შორის, გადარიცხვაზე და ა.შ.).“ კლიენტი ადასტურებს, რომ მიიღო, გაეცნო და ეთანხმება ტარიფებს.

5. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშ(ებ)ზე საკმარისი სახსრების არსებობა, ხოლო ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს თანხები:

   ა) საბანკო მომსახურების ნებისმიერი საკომისიოს, საფასურის და/ან სხვა სახის გადასახდელი თანხების დასაფარად (ბანკში არსებული ტარიფების შესაბამისად);

   ბ) კლიენტის ნებისმიერი ვადაგასული ფულადი ვალდებულებების (სესხი/კრედიტი/ოვედრაფტი (მათ შორის არასანქცირებული ოვერდრაფტი) და/ან მათზე დარიცხული პროცენტი; სასამართლო/სააღსრულებო და სხვა ხარჯები; მიყენებული ზიანი; პირგასამტეხლო და ჯარიმები; ნებისმიერი სხვა სახის გადასახდელი თანხები და/ან სხვა ნებისმიერი სახის ვალდებულება, მიუხედავად მათი შინაარსისა და წარმოშობის საფუძვლისა) სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად.

6. კლიენტის ანგარიშებიდან თანხის ჩამოწერა ხდება შემდეგი წესების დაცვით:

   ა) პირველ რიგში თანხა ჩამოიჭრება კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)იდან.

   ბ) მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე თანხების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში თანხის ჩამოწერა მოხდება კლიენტის სხვა ნებისმიერ ტიპის ანგარიშ(ებ)იდან (გარდა ვადიანი ტიპის ანაბრის ანგარიშ(ებ)ისა, თუ ბანკსა და კლიენტს შორს არსებული გარიგებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

   გ) ამ პუნქტის როგორც ,,ა“, ასევე ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში თანხის ჩამოწერა პირველ რიგში მოხდება არსებული ვალდებულების ვალუტაში. აღნიშნულ ვალუტაში თანხების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, მოხდება ლარში არსებული სახსრების ჩამოწერა, ხოლო ლარში სახსრების არ არსებობის ან არასაკმარისი ოდენობით არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება ნებისმიერ ვალუტ(ებ)ში არსებული თანხა, ბანკის არჩევით.

7. როდესაც ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება მიმდინარე ვალდებულების ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის ხარჯზე, მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია სს ,,პროკრედიტ ბანკის" კომერციული გაცვლითი კურსით.

8. კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე სახსრების უკმარისობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წესების დაცვით თანხა ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებზე დაშვებული ოვერდრაფტის ხარჯზე.

9. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით ბანკში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერზე კლიენტს ეგზავნება შემდეგი ინფორმაცია:

   ა) სასესხო შენატანის განხორციელებასთან, ვადიანი ტიპის ანაბრებთან, ანგარიშის გაპასიურებასთან, ბარათით შესრულებულ ტრანზაქციებთან, ავტომატურ დავალებებთან, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კლიენტის მიერ ასეთი ტიპის მომსახურებით სარგებლობის შეთხვევაში.

   ბ) ინფორმაცია ბანკში კლიენტის ანგარიშებზე საინკასო დავალების წარდგენის შესახებ.

   გ) ინფორმაცია კლიენტის ანგარიშებზე განხორციელებული დებეტური ოპერაციების შესახებ. დებეტურ ოპერაციებად ჩაითვლება ყველა ის საბანკო ოპერაცია, რომელიც შეამცირებს კლიენტის ანგარიშზე არსებულ ნაშთს, გარდა ბანკის მიერ საბანკო მომსახურების საკომისიოს თანხების ჩამოჭრისა.

   დ) წინამდებარე დოკუმენტით და/ან ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია.

10. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას სატელეფონო კომპანიების მიერ SMS-ის არ გაგზავნის ან შეფერხებით/დაგვიანებით გაგზავნის ფაქტზე.

11. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს ბანკს ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. ბანკი ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

12. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული პერსონალური ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის (მათ შორის: საფირმო სახელწოდების ან/და სხვა პირადი/სამეწარმეო მონაცემების ა.შ.) ცვლილებისას კლიენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის შესახებ. კლიენტის მიერ ცვლილების შესახებ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად და ასეთ შემთხვევაში ბანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები.

13. კლიენტი პასუხისმგებელია ბანკში წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობაზე, სისრულეზე და ძალაში ყოფნაზე.

14. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი სიხშირით, გამოითხოვოს/მიიღოს კლიენტის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. ბანკი ასევე უფლებამოსილია, სს „კრედიტინფო საქართველოსაგან" ნებისმიერ დროს და ნებისმიერი სიხშირით გამოითხოვოს/მიიღოს კლიენტის შესახებ სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

15. კლიენტი აცხადებს თანხმობას, ბანკმა, დაამუშავოს (***მონაცემთა დამუშავება*** - *ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება)* კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, საბანკო და კომერციული, პერსონალური მონაცემების, ბიომეტრიული მონაცემების შემცველი, FATCA-ს (***FATCA*** - *უცხოური ანგარიშების დაბეგვრის შესახებ აშშ-ს აქტი)* შესაბამისი რეგულაციებით მოთხოვნილი ინფორმაცია შემდეგი მიზნებისათვის:

- კლიენტისთვის მომსახურების გაწევა;
- FATCA-ს მოთხოვნების შესრულება;
- მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ფინანსური ანგარიშგება;
- სტატისტიკური ინფორმაციის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანის მეშვეობით სხვადასხვა ტიპის კვლევის/მომსახურების განხორციელება;
- დაქირავებული კომპანიების მიერ მომსახურების განხორციელება;
- ექსპერტიზის ჩატარება;
- პირდაპირი მარკეტინგი (***პირდაპირი მარკეტინგი*** *- ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება);*
- *სხვადასხვა (ვიზა, მასტერქარდი და სხვა) წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა;*
- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;
- სახელმწიფო სერვისების სააგენტოდან ინფორმაციის გამოთხოვა/გადამოწმება

კლიენტი ასევე აცხადებს თანხმობას, ბანკმა, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს:

- ბანკის დამფუძნებელთათვის და მათი მაკონტროლებელი სუბიექტებისათვის;
- საბანკო/საკრედიტო/საოპერაციო/იურიდიული/გარე აუდიტორული და სხვა მომსახურების განმახორციელებელი მესამე პირებისათვის;
- სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭიროებიდან გამომდინარე და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

კლიენტის მიერ წინამდებარე თანხმობა გაცემულია ზემოაღნიშნული მიზნებით მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო ვადით. ამასთან, პირები, რომლებიც ამუშავებენ ინფორმაციას, უზრუნველყოფენ ინფორმაციის, საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაცულ გარემოში შენახვას და გაცვლას დაცული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

წინამდებარე თანხმობა წარმოადგენს კლიენტის მიერ მონაცემების დამუშავებაზე გამოხატულ ნებაყოფლობით თანხმობას. მონაცემების დამუშავებაზე კლიენტის მიერ უარის გაცხადების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი თქვას კლიენტის მომსახურებაზე და/ან შეწყვიტოს მასთან გაფორმებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის ხელშეკრულება

კლიენტი უფლებამოსილია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა, ასევე მოითხოვოს ინფორმაცია მისი დამუშავებული მონაცემების შესახებ, მოითხოვოს მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა (***მონაცემთა დაბლოკვა*** *- მონაცემთა დამუშავების დროებით შეჩერება)*, წაშლა და განადგურება, (აღნიშნული არ ვრცელდება ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: **http://personaldata.ge/**

16. ბანკი უზრუნველყოფს საბანკო, კომერციული და პერსონალური საიდუმლოების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ მესამე პირს არ გაუმხელენ მხარეთა შორის ურთიერთობის პირობებს, გარდა ხელშეკრულებით, წინამდებარე დოკუმენტით და/ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

18. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან, როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

19. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს ნებისმიერი სახის პირადობის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის გაუქმების, დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის შესახებ, ასევე კლიენტის მონაცემებში ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლის გაჩენის შემთხვევაში (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ამერიკის შეერთებული შტატების მუდივი საცხოვრებელი ბარათის ე.წ. „მწვანე ბარათის“ მოპოვებით და სხვა). წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი თავისუფლდება თანამდევი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან (მათ შორის იმ ზიანის ანაზღაურებისაგან, რომელიც დოკუმენტის დაკარგვის ან სხვისთვის გადაცემის ფაქტის თუნდაც არაპირდაპირი შედეგია), როგორც კლიენტის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

20. ნებისმიერი სახის ელექტრონულ ხელმოწერას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა, როგორც მხარეთა შორის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის/სუბიექტის მიმართ.

21. მხარეს არ შეუძლია უარი განაცხადოს წინამდებარე დოკუმენტით (საბანკო მომსახურების პირობები) გათვალისწინებული პირობების და ვალდებულებების შესრულებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას ხელმოწერა (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით) არ განუხორციელებია უშუალოდ წინამდებარე დოკუმენტზე (წინამდებარე დოკუმენტის ელექტრონულ და/ან მატერიალურ ვერსიაზე).

22. თუ ბანკი და კლიენტი შეთანხმდნენ ელექტრონული კომუნიკაციის დაზღვეულ მეთოდზე, მაშინ ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას კომუნიკაციისათვის და საბანკო ოპერაციების შესრულებისათვის.

23. იმ შემთხვევაში თუ ბანკის მხრიდან რაიმე ვალდებულების შესრულების თარიღი ემთხვევა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ დასვენების ან უქმე დღეს, ან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ დასვენების დღეს, სს ,,პროკრედიტ ბანკი“ ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს მომდევნო სამუშაო დღეს.

24. კლიენტი ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, ნებისმიერი სახის ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის მიზნით, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტისა და ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულების შესახებ სრული ინფორმაცია გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“.

25. კლიენტი სრულად არის პასუხისმგებელი მის წარმომადგენლთა, დაქირავებულთა, დამხმარე-მოსამსახურეთა და კლიენტთან შრომითი ან სხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირთა ქმედებების შედეგებზე, მიუხედავად იმისა ზემოაღნიშნული პირები მოქმედებდნენ ბრალით, თუ ბრალის გარეშე.

26. კლიენტი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს გამონაკლისების ნუსხაში (აღნიშნული ნუსხა ხელმისაწვდომია სს „პროკრედიტბანკის“ ნებისმიერ ოფის(ებ)ში და ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.procreditbank.ge) შეტანილ საქმიანობათა ჩამონათვალს და წინამდებარე დოკუმენტით კლიენტი ადასტურებს, რომ არ ეწევა და არც მომავალში დაკავდება გამონაკლისების ნუსხაში მითითებული საქმიანობით/საქმიანობებით. კლიენტი ასევე ადასტურებს, რომ რამდენადაც მისთვის ცნობილია და როგორც სათანადო გამოკვლევის შედეგებიდან ჩანს, ის იცავს და მომავალშიც დაიცავს საქართველოში მოქმედ ეკოლოგიურ, ჯანდაცვისა და შრომის უსაფრთხოების ყველა ნორმას.

27. ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ხელშეკრულების ან წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე პუნქტის გაუქმება/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების/ წინამდებარე დოკუმენტის და/ან მათი სხვა პუნქტ(ებ)ის გაუქმებას/ბათილობას.

28. კერძო ნაწილში მითითებულ საბანკო პროდუქტზე ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით, თუ თავად ხელშეკრულებაში ან კერძო ნაწილში სხვა არაფერია მითითებული.

29. ბანკს და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონ-მდებლობის შესაბამისად. ყველა დავა თუ უთანხმოება გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით. სასამართლოში დავა განიხილება ბანკის ადგილმდებარეობის მიხედვით.

მუხლი 3. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინებისა და/ან მისი დამატებითი თანხმობის გარეშე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, მრავალჯერადად შეიტანოს ნებისმიერი შინაარსის დამატება/ცვლილება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (მათ შორის იმ დოკუმენტებში და პირობებში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს), საბანკო მომსახურების პირობებში (წინამდებარე დოკუმენტში) და/ან ტარიფებში, რომლითაც:

   ა) ცვლილება შევა უკვე არსებულ უფლებაში და/ან ვალდებულებაში, ან/და განისაზღვრება ბანკის და/ან კლიენტის ახალი უფლება და/ან ახალი ვალდებულება.

   ბ) შეიცვლება უკვე არსებული საკომისიო(ებ)ის/საფასურ(ებ)ის/სხვა სახის გადასახდელი თანხების ტარიფების ოდენობა და/ან დაწესდება ახალი საკომისიო(ებ)ი/საფასურ(ებ)ი/სხვა სახის გადასახდელი თანხები და მათი ტარიფები.

2. ხელშეკრულებაში (მათ შორის იმ დოკუმენტებში და პირობებში, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს), ასევე საბანკო მომსახურების პირობებში, განხორციელებული ცვლილებები/დამატებები აისახება წინამდებარე დოკუმენტში, ხოლო ტარიფებში შესული ცვლილებები/დამატებები აისახება ბანკის შესაბამის დოკუმენტში. ცვლილებები/დამატებები ხელმისაწვდომი იქნება კლიენტებისათვის ბანკის ოფისებში და/ან ბანკის ინტერნეტ გვერდზე.

3. იმ ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლისათვის, რომელიც ხორციელდება ბანკის სასარგებლოდ, საკმარისია იგი განთავსდეს ბანკის ოფისებში და/ან ვებ გვერდზე www.procreditbank.ge, ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებებს/დამატებებს, კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს ბანკს ცვლილებების/დამატებების ძალაში შესვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლილებები/დამატებები შევა ძალაში და კლიენტს არ აქვს უფლება სადავო გახადოს და/ან მოითხოვოს მისი ბათილობა/გაუქმება არავითარი საფუძვლით.

4. ბანკს არ აქვს ცვლილებების/დამატებების შესახებ ინფორმაციის წინასწარ განთავსების ვალდებულება, როდესაც ცვლილება/დამატება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ.

5. კლიენტი იღებს ვალდებულებას პერიოდულად გაეცნოს ბანკის ოფისებში და/ან ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას ცვლილებ(ებ)ის/დამატებების თაობაზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება (მათ შორის ხელშეკრულება „მიმდინარე მულტისავალუტო ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ“), რისთვისაც აუცილებელია კლიენტს აცნობოს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.

2. კლიენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი ან ყველა ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია ბანკს აცნობოს წერილობით 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. კლიენტს შეუძლია ისარგებლოს ზემოხსნებული უფლებით, თუ მას გასაუქმებელი ხელშეკრულებით, ან სხვა ნებისმიერი საფუძვლით, ბანკის მიმართ არ გააჩნია ფულადი ვალდებულება.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ვადების განმავლობაში მხარეები ვალდებულნი არიან აწარმოონ ერთმანეთთან საბოლოო ანგარიშსწორება (შეასრულონ ყველა ფულადი და არაფულადი სახის ვალდებულება, მათ შორის შეასრულონ ის ვალდებულებებიც, რომელთა შესრულების ვადა ჯერ დამდგარი არ არის).

მუხლი 5. ფორს მაჟორი

1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებებისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პერიოდში. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას.

2. ფორს-მაჟორი გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელთა დადგომა, შეცვლა ან/და შეწყვეტა მხარეთა ნებაზე არ არის დამოკიდებული და რომლის დროსაც დაუძლეველი ძალის გამო შეუძლებელია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

3. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე, თუმცა ფორსმაჟორული გარემოებების არსებობა ხელს არ უშლის მხარეს შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე დოკუმენტში მოცემული წესით.

კარი III

თავი I

კერძო ნაწილი

საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ ხელშეკრულება

მუხლი 6.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„საკონტაქტო მონაცემების დაფიქსირების შესახებ“.**

2. ბანკი აფიქსირებს კლიენტის მიერ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებულ ინფორმაციას თავის მონაცემთა ბაზაში და გამოიყენებს მას კლიენტთან კომუნიკაციისათვის.

3. კლიენტი ასევე აცხადებს თანხმობას, ბანკისაგან მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის შეტყობინება მისი მონაცემების სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში გადაცემის შესახებ) და შეტყობინებები ბანკისგან წინამდებარე განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე ე.წ. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) ან ავტომატური ხმოვანი შეტყობინების, ელ–ფოსტის ან წერილის სახით. კომუნიკაციის ფორმას (SMS/ელ. ფოსტა/წერილი) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ირჩევს ბანკი თავისი შეხედულებისამებრ.

4. შეტყობინების წერილობითი ფორმით განხორციელების შემთხვევაში შეტყობინება ითვლება სათანადოდ ჩაბარებულად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა ან გაგზავნილია დაზღვეული წერილით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და დადასტურებულია უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

5. კლიენტის შესახებ ბანკში არსებული საკონტაქტო მონაცემების შეცვლის და/ან გაუქმებისას კლიენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის/ გაუქმების შესახებ და ბანკში წარმოადგინოს ახალი ინფორმაცია/მონაცემები. კლიენტის მიერ წერილობით შეტყობინებამდე ბანკი უფლებამოსილია იმოქმედოს ბანკში დაცული ინფორმაციის შესაბამისად (მათ შორის განახორციელოს შეტყობინების გაგზავნა ბანკში არსებულ კლიენტის საკონტაქტო რეკვიზიტებზე) და ასეთ შემთხვევაში ბანკის ნებისმიერი ქმედება სათანადო და მართლზომიერია და აქვს სრული იურიდიული შედეგები. ბანკში არსებულ კლიენტის უკანასკნელ საკონტაქტო რეკვიზიტებზე ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნისას, შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად და კლიენტისათვის ჩაბარებულად. ამასთანავე ბანკი არ აგებს პასუხს ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევაზე და/ან დამდგარ ზიანზე.

თავი II

საბანკო ანგარიშების საერთო დებულებები

მუხლი 7.

1. ბანკში ხორციელდება შემდეგი ტიპის ანგარიშებით მომსახურება:

   ა) მიმდინარე ტიპის ანგარიშები (მათ შორის მულტისავალუტო ანგარიშები);

   ბ) საბარათე ანგარიშები;

   გ) სადეპოზიტო (საანაბრო) (მოთხოვნამდე და ვადიანი) ტიპის ანგარიშები.

2. ამ მუხლში მოცემული პირობები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ყველა ანგარიშის მიმართ, თუ შესაბამისი ხელშეკრულებით და/ან სპეციალური დებულებებით განხვავებული პირობები არ არის გათვალისწინებული.

3. კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს ბანკში ანგარიშის გასახსნელად საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

4. ბანკი უფლებამოსილია არსებული წესების დაცვით, შესაბამისი ხელშეკრულების ან მისი დანართის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებიდან და ბანკის მიერ დადგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის კლიენტის მიერ წარმოდგენიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარიში.

5. ბანკი უფლებამოსილია არ ასახოს კლიენტის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო წესით შემოსული თანხები, თუ კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები სწორად და სრულად არ არის მოცემული საგადახდო დავალებაში ან შესაბამის დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახსრების ანგარიშზე ასახვა.

6. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სავალუტო ჩარიცხვისას IBAN–ის ფორმატის ანგარიში სწორია, ხოლო კლიენტის დასახელება არის განსხვავებული და შეუძლებელია მიმღები პირის იდენტიფიკაცია, ბანკი უფლებამოსილია არ განახორციელოს ჩარიცხვა.

7. ბანკი უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს ჯარიმა ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენებისათვის გამოყენებული თანხის 0,5 %-ის ოდენობით, უსაფუძვლო სარგებლობის ყოველი დღისათვის.

8. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა მხოლოდ შესაბამისი დავალების (ნებართვის, განკარგულების) საფუძველზე, თუ კანონით, წინამდებარე დოკუმენტით, ან/და ბანკსა და კლიენტს შორის ხელშეკრულებით ან სხვა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. ბანკი უფლებამოსილია თანხის მესაკუთრის (თავად ბანკი, ან სხვა (მესამე) პირი) სასარგებლოდ, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ, განახორციელოს კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული იმ თანხის ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან, რომელიც არ ეკუთვნის კლიენტს.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ბანკის უფლებისაგან დამოუკიდებლად, კლიენტი ვალდებულია ანგარიშზე ჩარიცხული ის თანხა, რომელიც არ ეკუთვნის კლიენტს, სრულად დაუბრუნოს ბანკს თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმირებიდან არაუგვიანეს ერთ დღეში.

11. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით ან/და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უაქცეპტოდ ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშებზე ჩასარიცხად.

12. ბანკი ვალდებულია მოთხოვნისთანავე მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია მისი ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ამონაწერის ფორმით.

13. ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს შესასრულებლად დავალება საბანკო მომსახურების განხორციელებაზე, თუ დავალება წარდგენილია ბანკში მოქმედი წესების დარღვევით, შეიცავს არაზუსტ მითითებებს, მასში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე რიცხულ ფაქტობრივ ნაშთს და/ან ანგარიშზე არ არის შესაბამისი საკომისიოს ჩამოჭრისათვის საკმარისი თანხა ან მისი შესრულება მართლსაწინააღმდეგოა ან/და ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

14. ბანკი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა:

    ა) მოახდინოს თანხების გადარიცხვა კლიენტის საგადახდო დავალების შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ის არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

    ბ) მიიღოს კლიენტისგან, გასცეს მასზე, ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული.

15. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მხრიდან გადარიცხვის ვალდებულების შესრულების კალენდარული თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ბანკი ნაკისრ ვალდებულებას შეასრულებს მომდევნო საოპერაციო დღეს.

16. კლიენტი ვალდებულია საგადახდო დავალების წარდგენიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში თავად გადაამოწმოს შესრულდა თუ არა საგადახდო დავალება, ხოლო ბიუჯეტში გადასარიცხად წარდგენილი საგადახდო დავალებების შემთხვევაში ეს ვადა განისაზღვროს საგადახდო დავალების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

    16.[1] თუ საგადახდო დავალება არ/ვერ სრულდება ბანკის მიერ, მაშინ ბანკი ვალდებულია შეტყობინოს/ ან აცნობოს კლიენტს ამის შესახებ მოკლე ტექტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით მობილური ტელეფონის დაფიქსირებულ ნომერზე.

17. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისათვის, თუ ის არ არის რეგისტრირებული შესაბამისი ფორმით/სტატუსით, და/ ან მისი იურიდიულ სამართლებრივი ფორმა კრძალავს ასეთი საქმიანობის წარმართვას. ამ პირობის დარღვევიდან გამომდინარე ყველა შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

18. ბანკი უფლებამოსილია პასიური კლიენტის წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად, შეწყვიტოს მასთან გაფორმებული საბანკო მომსახურების ნებისმიერი ხელშეკრულება და დახუროს ანგარიშები, თუ აღნიშნული კლიენტის ყველა ანგარიშის ნაშთი არის ნული (წინამდებარე პუქნტის მიზნებისთვის პასიურ კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ანგარიშებზე ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა ოპერაციები, გარდა შემდეგი ავტომატური ოპერაციებისა: საბანკო მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა; ანაბრებზე და სესხზე (მათ შორის ოვერდრაფტზე) სარგებლის (პროცენტი, ჯარიმა) დარიცხვა/რეალიზაცია; გადარიცხვა საინკასო დავალების საფუძველზე; ჩარიცხვა სხვა ბანკიდან).

19. ხელშეკრულების შეწყვეტა (რომლის საფუძველზეც გახსნილია ანგარიში) იწვევს ანგარიშის დახურვას.

მუხლი 7[1]. პასიური ანგარიშების მომსახურება და დახურვა

1. პასიური ოპერაციები - ისეთი ოპერაციები, რომლებიც სრულდება პროგრამის მიერ ავტომატურ რეჟიმში, ან ბანკის თანამშრომლის მიერ. ეს ოპერაციებია:
   - საბანკო მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა;
   - ანაბრებზე და სესხზე (მათ შორის ოვერდრაფტზე) სარგებლის (პროცენტი, ჯარიმა დარიცხვა / რეალიზაცია;
   - საინკასო დავალებით გადარიცხვა;
   - ჩარიცხვა სხვა ბანკიდან;
2. აქტიური ოპერაციები – ყველა ოპერაცია, რომლებიც არ განეკუთვნება პასიურ ოპერაციებს.
3. პასიური ანგარიში – ანგარიში, რომელზეც ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა აქტიური ოპერაციები. (პასიურ ანგარიშზე შესაძლებელია იყოს ნაშთი);
4. პასიური კლიენტი – კლიენტი, რომლის ყველა ანგარიში პასიურია;
5. პასიური ანგარიშის მომსახურების საკომისიო – პასიური კლიენტების პასიური ანგარიშების მომსახურების ყოველთვიური საკომისიო;
6. კლიენტების პასიურ ანგარიშებზე კონტროლის გამკაცრებისა და არასანქცირებული საბანკო ოპერაციებისაგან თავდაცვის მიზნით პასიურ ანგარიშებზე იკრძალება აქტიური ოპერაციების ჩატარება, გარდა კლიენტის ან მესამე პირის მიერ პასიურ ანგარიშზე თანხის შეტანის ოპერაციისა.
7. ბანკის ტარიფების მიხედვით პასიურ კლიენტებს ეკისრებათ პასიური ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო გადასახადი.
8. პასიური ანგარიშების მომსახურების საკომისიო დაერიცხება:

   ა) თითოეულ პასიურ მიმდინარე ანგარიშს;

   ბ) ფიზიკური პირების შემთხვევაში:

   ბ.ა თითოეულ პასიურ შემნახველ (მათ შორის ჩემი ყულაბის) ანაბრის ანგარიშის, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 300 ლარზე / 200 აშშ დოლარზე / 200 ევროზე;

   ბ.ბ თითოეულ ნაშთიან პასიურ ანაბრის სატრანზიტო ანგარიშს, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 300 ლარზე / 200 აშშ დოლარზე / 200 ევროზე;

   გ) იურიდიული პირების შემთხვევაში:

   გ.ა თითოეულ პასიურ შემნახველ ანაბრის ანგარიშის, რომელზეც კალენდარული თვის ბოლოს ნაშთი ნაკლებია 1 000 ერთეულზე.
9. პასიური კლიენტის, როდესაც კლიენტის ყველა ანგარიში პასიურია, ანგარიშების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის ან კლიენტის უფლებამოსილი პირის ბანკში გამოცხადების შემთხვევაში. პასიურ ანგარიშზე რაიმე აქტიური ოპერაციის განხორციელება არ იწვევს პასიური ანგარიშის და/ან პასიური კლიენტის ავტომატურად გააქტიურებას.
10. პასიური კლიენტის ანგარიშები ბანკის ინიციატივით იხურება თუ პასიური კლიენტის ყველა პასიურ ანგარიშზე ნაშთი არის 0 და ამ კლიენტის სხვა (დანარჩენ) ანგარიშებზე ნაშთი ასევე არის 0.

საბანკო ანგარიშების სპეციალური დებულებები

მუხლი 8. მიმდინარე ანგარიშები

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„მიმდინარე მულტისავალუტო ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ“** ხელშეკრულება და/ან მისი დანართი.

2. მიმდინარე ანგარიში არის საბანკო ანგარიში, რომლებზეც აღირიცხება პირის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით.

3. მულტისავალუტო ანგარიშზე შესაძლებელია ტრანზაქციების განხორციელება ყველა იმ ვალუტაში, რომლებიც დაშვებულია ბანკში ოპერაციების საწარმოებლად.

4. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ და შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 9. მიმდინარე ტიპის ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიში

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშის გახსნისა და მომსახურების შესახებ“**.

2. მიმდინარე ტიპის **ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიში** კლიენტს ეხსნება საანაბრე ოპერაციებისათვის და წარმოდგენს მიმდინარე ტიპის ანგარიშს.

3. მიმდინარე ტიპის **ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშზე** ნებადართულია კლიენტის მიერ მხოლოდ ისეთი საბანკო ოპერაციების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ანაბრის გახსნასთან, ანაბრის დახურვასთან და ანაბრის შევსებასთან. კერძოდ: თანხის კონვერტაცია; ნაღდი თანხის შეტანა; ნაღდი თანხის გამოტანა; ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვა; თანხის ჩარიცხვა ამავე კლიენტის სხვა ტიპის ანგარიშიდან; თანხის გადარიცხვა ამავე კლიენტის სხვა ტიპის ანგარიშზე; მესამე პირის (ფიზიკური პირის) მიერ თანხის შეტანა შემდგომში კონკრეტულ ანაბარზე ჩასარიცხად.

4. კლიენტი აცხადებს თანხმობას შემდეგზე: კლიენტის ანაბრის სატრანზიტო მულტისავალუტო ანგარიშზე შემოტანილი თანხები ბანკმა ავტომატურად ჩარიცხოს თანხის შემომტანის მიერ მითითებულ ანაბრის ანგარიშზე, თუ ეს ანაბარი გახსნილია კლიენტის მიერ, მათ შორის საბავშვო ტიპის ანაბარზე.

თავი III

ანაბრების საერთო დებულებები

მუხლი 10.

1. ანაბარი არის საანაბრო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები. ბანკი ვალდებულია ანაბრის შეწყვეტისას ან ვადის დასრულებისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს ანაბრის თანხა, რა ვალუტაშიც იქნა განთავსებული ანაბარზე. ანაბარს შესაბამისად უნდა დაერიცხოს პროცენტი.

2. საანაბრო ანგარიში არის ანგარიში, რომელზეც აღირიცხება პირის მოთხოვნამდე ან გადახდის წინასწარ შეთანხმებული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები.

3. ბანკის კლიენტს წარმოადგენს როგორც ის პირი, ვინც ბანკთან უშუალოდ აფორმებს ხელშეკრულებას, ასევე ის პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვის სასარგებლოდაც/ ვის სახელზეც იხსნება ანაბარი და ფორმდება ხელშეკრულება.

4. ანაბრის ხელშეკრულების შეწყვეტისას ან ვადის გასვლისას ბანკი ვალდებულია უფლებამოსილ პირზე სამი სამუშაო დღის განმავლობაში გასცეს ანაბარზე არსებული თანხა კუთვნილ საპროცენტო სარგებელთან ერთად.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას დაერიცხება არა სრული წლიური საპროცენტო სარგებელი, არამედ ხელშეკრულებაში მითითებული მხოლოდ ის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევისათვის.

ანაბრების სპეციალური დებულებები

მუხლი 11. ვადიანი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„ვადიანი ანაბრის ხელშეკრულება".**

2. წინამდებარე ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.

3. ვადიანი ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. მეანაბრეს არ აქვს ანაბრის თანხის შემცირების ან გაზრდის უფლება.

4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ანგარიშზე.

5. თუ ხელშეკრულების მიხედვით საპროცენტო სარგებლის მეანაბრისათვის გადახდა ხდება ყოველთვიურად, მაშინ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ბანკის მიერ მეანაბრისათვის ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებელი გამოიქვითება ანაბრის თანხიდან.

მუხლი 12. მოქნილი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„მოქნილი ანაბრის ხელშეკრულება".**
2. მოქნილი ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. ანაბრის თანხის შემცირება ან გაზრდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება.
4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ანგარიშზე.
5. თუ ხელშეკრულების მიხედვით საპროცენტო სარგებლის მეანაბრისათვის გადახდა ხდება ყოველთვიურად, მაშინ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ბანკის მიერ მეანაბრისათვის ზედმეტად გადახდილი საპროცენტო სარგებელი გამოიქვითება ანაბრის თანხიდან.

მუხლი 13. ზრდადი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„ზრდადი ანაბრის ხელშეკრულება".**
2. ზრდადი ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.
3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით (პირველადი შენატანი).
4. ანაბრის თანხის შემცირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება.
5. 01/09/2015-მდე გაფორმებულ ზრდადი ანაბრის ხელშეკრულებებზე ვრცელდება შემდეგი პირობა: ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე სავალდებულოა შენატანის განხორციელება (განთავსება) მინიმუმ 10 ერთეულის ოდენობით (ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ) ანაბრის ვალუტაში. კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე განთავსებული თანხების ჯამური ოდენობა არ უნდა იყოს სავალდებულო შენატანის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. ყოველთვიური სავალდებულო შენატანის მოთხოვნა არ ვრცელდება ანაბრის გახსნის და დასრულების თვეებზე.

   5^1. 01/09/2015-დან გაფორმებულ ზრდადი ანაბრის ხელშეკრულებებზე ვრცელდება შემდეგი პირობა: ყოველი კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე სავალდებულოა შენატანის განხორციელება/განთავსება (ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ) ანაბრის ვალუტაში - ლარში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში მინიმუმ 100 ლარის ოდენობით, ხოლო დოლარში ან ევროში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში მინიმუმ 50 აშშ დოლარის ან ევროს ოდენობით. კალენდარული თვის განმავლობაში ანაბარზე განთავსებული თანხების ჯამური ოდენობა არ უნდა იყოს სავალდებულო შენატანის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. ყოველთვიური სავალდებულო შენატანის მოთხოვნა არ ვრცელდება ანაბრის გახსნის და დასრულების თვეებზე.
6. მეანაბრე უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მაქსიმუმ ორჯერ დაარღვიოს ამ მუხლის მე–5 პუნქტით დადგენილი ყოველთვიური შენატანის განხორციელების ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რასაც მოჰყვება ამ მუხლის მე–8 პუნქტით განსაზღვრული შედეგები.
7. საპროცენტო სარგებელი ერიცხება დარიცხვის (გაანგარიშების) მომენტისათვის ანაბარზე განთავსებულ თანხებს.
8. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან მისი შეწყვეტის დღის ჩათვლით არსებულ პერიოდზე, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებულ წლიური საპროცენტო სარგებელი და ანაბარზე არსებული თანხა სრულად გადაიტანება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმდინარე ანგარიშზე.

მუხლი 14. საბავშვო ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება.**

2. საბავშვო ანაბარი წარმოადგენს ვადიანი ტიპის ანაბარს.

3. ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით. ანაბრის თანხის შემცირება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ შეიძლება.

4. საბავშვო ანაბარზე შესაძლებელია თანხის შემდგომი დამატება ნებისმიერი პირის მიერ, ნებისმიერი ოდენობით და ნებისმიერი პერიოდულობით.

5. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულება წარმოადგენს კონტრაჰენტის მიერ მეანაბრის სასარგებლოდ დადებულ გარიგებას. მეანაბრეს ენიჭება იგივე უფლებები, რაც კონტრაჰენტს, გარდა წინამდებარე დოკუმენტით და/ან ხელშეკრულებით პირდაპირ და/ან ირიბად დადგენილი გამონაკლისებისა.

6. ხელშეკრულების ვადის დასრულებისას ანაბარზე არსებულ თანხას დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად ბანკი გადაიტანს მეანაბრის სახელზე გახსნილ შემნახველი ანაბრის ანგარიშზე, რომელსაც ბანკი გახსნის საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ბოლო სამუშაო დღეს. შემნახველი ანაბრის მიმართ ამოქმედდება იმ დროისათვის ბანკში მოქმედი (სტანდარტული) შემნახველი ანაბრის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დებულებები/პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთები), იმ დროისათვის ბანკში მოქმედი (სტანდარტული): საბანკო მომსახურების გაწევისათვის/ყოველი ოპერაციის განხორციელებისათვის დადგენილი ტარიფები, საკომისიოები და სხვა პირობები/წესები. შემნახველ ანაბარზე განხორციელდება საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია.

7. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება არ აქვს კონტრაჰენტს. საბავშვო ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და თანხის გატანის უფლება აქვს უშუალოდ მეანაბრეს, თუ ის ემანსიპირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მის ერთ-ერთ კანონიერ წარმომადგენელს.

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ანაბარზე არსებულ თანხას, ხელშეკრულების ძალაში ყოფნის უკანასკნელი არასრული წელიწადისათვის, დაერიცხება მხოლოდ ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევისათვის გათვალისწინებული წლიური საპროცენტო სარგებელი. წლები აითვლება ხელშეკრულების გაფორმებიდან.

9. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას ანაბრის ანგარიშზე არსებული თანხა კუთვნილ საპროცენტო სარგებელთან ერთად გაიცემა მეანაბრეზე, ან მის კანონიერ წარმომადგენელზე.

მუხლი 15. შემნახველი ანაბარი

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **შემნახველი ანაბრის ხელშეკრულება.**
2. შემნახველი ანაბარი წარმოადგენს მოთხოვნამდე ტიპის ანაბარს.
3. მეანაბრეს შეუძლია გაზარდოს და/ან შეამციროს ანაბარზე არსებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.
4. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით.
5. ფიზიკური პირის შემნახველ ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების შესრულება: თანხის შეტანა; თანხის გატანა; უნაღდო კონვერტაცია; საქართველოდან და უცხოეთიდან თანხის ჩარიცხვა; თანხის გადარიცხვა ბანკში ამავე მეანაბრის ანგარიშზე.
6. იურიდიული პირის შემნახველ ანაბარზე შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების შესრულება: უნაღდო კონვერტაცია, თანხის ჩარიცხვა/გადარიცხვა ბანკში ამავე მეანაბრის ანგარიშზე.
7. ანაბარზე, მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში, ვრცელდება ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი საბანკო მომსახურების საკომისიოები (მათ შორის ანგარიშის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო იმ შემთხვევისათვის, როდესაც ანაბარზე არსებული თანხა ნაკლებია მინიმალურ თანხაზე და სხვ.) და ყოველი ოპერაციის განხორციელებისას ბანკის მიერ იმ დროისათვის დადგენილი ტარიფები.
8. დებეტური ოპერაცია არის ანაბარზე თანხის შემცირება ნებისმიერი მართლზომიერი მიზეზით და საფუძვლით, როგორც მეანაბრის მიერ, ასევე ბანკის და/ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ. დებეტურ ოპერაციად ასევე ითვლება ხელშეკრულების შეწყვეტა.
9. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანაბარს დაერიცხება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი მინიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი, საპროცენტო სარგებლის ბოლო გადახდის თარიღიდან ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე არსებულ პერიოდზე.
10. თუ ხელშეკრულების მიხედვით ანაბარზე ხორციელდება საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია, მაშინ დებეტურად არ ჩაითვლება მხოლოდ ისეთი დებეტური ოპერაციები, რომლებიც ჯამში თანხობრივად არ აღემატება ანაბარზე ბოლოს ჩარიცხული საპროცენტო სარგებლის თანხას.

თავი IV

საბანკო პლასტიკური ბარათების საერთო დებულებები

მუხლი 16.

1. პლასტიკური ბარათი არის სს ,,პროკრედიტ ბანკის“ მიერ გამოშვებული საბანკო პლასტიკური ბარათი (შემდგომში „ბარათი“).

2. ბანკი ბარათს დაამზადებს ბარათის მფლობელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეკვეთილი და დამზადებული ბარათის აღების უფლება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს.

3. ბარათის მფლობელი არის პირი, რომელიც უკვეთავს ბარათს და დებს შესაბამის ხელშეკრულებას ბანკთან.

4. ბარათით მოსარგებლე არის ბარათით ფაქტობრივად მოსარგებლე პირი, რომლის სახელი და გვარი მითითებულია ბარათზე.

5. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე შესაძლოა იყოს ერთი და იგივე, ან სხვადასხვა პირი. მაგ: ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათის შემთხვევაში ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, ხოლო ბიზნეს ბარათის შემთხვევაში – სხვადასხვა პირები. იმ შემთხვევაში, თუ ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე ერთი და იგივე პირია, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ბარათის მფლობელისა და ბარათით მოსარგებლის უფლება–მოვალეობების მქონე სუბიექტიც ერთი და იგივე პირია.

6. ბანკის კლიენტად ითვლება როგორც ბარათის მფლობელი, ასევე ბარათით მოსარგებლე. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული კლიენტის ვალდებულებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, სავალდებულოა შესასრულებლად როგორც ბარათის მფლობელისათვის, ასევე ბარათით მოსარგებლისათვის.

7. ბარათზე მითითებულია ბარათით მოსარგებლის სახელი და გვარი, ბარათის ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

8. ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლის სხვა პირისათვის გადაცემა იკრძალება.

9. კოდური კითხვა-პასუხი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ტელეფონის საშუალებით ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის იდენტიფიკაციისთვის.

10. ბარათს აქვს პინ კოდი. პინ-კოდი არის ბარათის თანმხლები პერსონალური, კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათით მოსარგებლის ელექტრონულ იდენტიფიკატორს. იგი გამოიყენება ბანკომატებსა და პოს-ტერმინალებში ტრანზაქციების შესასრულებლად (ბანკომატით და პოს-ტერმინალით შესრულებული ნებისმიერი ტრანზაქცია დასტურდება პინ-კოდით).

11. საწყისი “Predefined” პინ–კოდი არის ბარათზე წინასწარ მინიჭებული კოდი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ბარათის გაცემისას მასზე სასურველი პერსონალური პინ–კოდის მინიჭების მიზნით ბარათით მოსარგებლის მიერ. საწყისი პინ–კოდის საშუალებით შეუძლებელია საბარათე ოპერაციების შესრულება.

12. პინ-კოდი ცნობილია მხოლოდ ბარათით მოსარგებლისათვის, რომელიც ვალდებულია დაიმახსოვროს და უზრუნველყოს პინ-კოდის საიდუმლოება. პინ-კოდის ბარათზე რაიმე ფორმით მითითება დაუშვებელია.

13. ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.

14. ბანკი ბარათით მოსარგებლეს გადასცემს დალუქულ კონვერტში მოთავსებულ ბარათს და უზრუნველყოფს ბარათისთვის ბარათით მოსარგებლის სასურველი პინ-კოდის მინიჭებას. ბარათით მოსარგებლე ბარათის მიღებისას ხელს აწერს ბარათის მეორე მხარეს სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას. პინ კოდის კომბინაციის დაფიქსირებას ახორციელებს ბარათით მოსარგებლე, ბანკში განთავსებული პოს ტერმინალის მეშვეობით.

15. 15. ბარათით მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ბარათისათვის პინ–კოდის შეცვლა:

    - ბარათებზე, რომლებზეც გაცემისას მოსარგებლის მიერ პერსონალური პინ–კოდის მინიჭება მოხდა საწყისი პინ–კოდის გამოყენებით, პინ–კოდის ცვლილება შესაძლებელია იმის და მიუხედავად, ახსოვს თუ არა მიმდინარე პინ–კოდი ბარათით მოსარგებლეს. პინ კოდის შეცვლა ხორციელდება ბანკში განთავსებული პოს ტერმინალის მეშვეობით. პინკოდის შეცვლისათვის ბარათით მოსარგებლე ვალდებულია ხელი მოაწეროს პოს ტერმინალიდან ამობეჭდილ პინ კოდის შეცვლის დამადასტურებელ ქვითარს.

    - ბარათებზე, რომლებიც გაიცა საწყისი პინ-კოდის გამოყენების გარეშე, პერსონალური პინ-კოდის შეცვლისთვის ბარათით მოსარგებლეს აუცილებლად უნდა ახსოვდეს მიმდინარე პინ-კოდი. იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლეს არ ახსოვს მიმდინარე პინ-კოდი, მაშინ ბარათის მფლობელმა უნდა მიმართოს ბანკს ბარათის დახურვის და ახალი ბარათის დამზადების მოთხოვნით;

16. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადით. მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ. დაუშვებელია ბარათის მოქმედების ვადის გაზრდა/შემცირება.

17. ტერმინი ,,საბარათე ანგარიში“ ნიშნავს ბარათზე მიმაგრებულ ნებისმიერ ანგარიშს, მათ შორის მიმდინარე ანგარიშს და/ან საბართე ტიპის ანგარიშს.

18. ბარათი სადებეტო ტიპისაა და საშუალებას იძლევა განიკარგოს ბარათზე მიმაგრებულ საბარათე ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხა და დაშვებული ოვერდრაფტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

19. ბარათით სარგებლობის პირობები და წესები განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით, ბარათით მომსახურების ტარიფებით, “ვიზას” და/ან “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემის პროცედურებით და საქართველოს კანონმდებლობით.

20. ბარათის საფასური, ასევე ბარათით/ბარათთან დაკავშირებული მომსახურების საფასური და ბარათით განხორციელებული ტრანზაქციებისათვის საკომისიოები და მათი ოდენობები განისაზღვრება ბარათით მომსახურების ტარიფებით.

21. ბარათის საფასურის, ბარათით და მასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურის და ბარათით განხორციელებული ტრანზაქციებისათვის დადგენილი საკომისიოების გადახდა ეკისრება ბარათის მფლობელს.

22. ბარათის მფლობელს/ბარათით მოსარგებლეს შეუძლია დაუკავშირდეს დისტანციური ბანკინგის ქვეგანყოფილებას, კოდური კითხვა-პასუხის გამოყენების მეშვეობით გაიაროს იდენტიფიკაცია და მიიღოს ინფორმაცია ბარათის და/ან ბარათთან დაკავშირებული ოპერაციების შესახებ და/ან დაბლოკოს ბარათი.

23. ბარათზე მიმაგრებული საბარათე ანგარიშ(ებ)იდან ბარათის საშუალებით შესაძლებელია წარმოებულ იქნეს:

    - ნაღდი ოპერაცია - თანხის განაღდება ბანკომატის/პოს-ტერმინალის საშუალებით;
    - ნაღდი ოპერაცია - თანხის შეტანა პროკრედიტ ბანკის ბანკომატის საშუალებით;
    - უნაღდო ოპერაცია - თანხის გადახდა პოს-ტერმინალის და ინტერნეტის საშუალებით.

24. ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება საბარათე ანგარიშზე მისი ასახვის თარიღისაგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ტიპზე და ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

• საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღეს;

• საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების ქსელში ბარათით განხორციელებული თანხის შეტანის ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება იმავე დღეს;

• ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია საბარათე ანგარიშზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა, როგორც წესი, არის 30 კალენდარული დღე.

25. ბანკის მიერ დადგენილია ბანკომატის საშუალებით თანხის შეტანის, განაღდების და პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების დღიური ლიმიტები. დღიური ლიმიტების ოდენობა დამოკიდებულია ბარათის ტიპზე და გადახდის/განაღდების ოპერაციაზე. ბანკის მიერ დადგენილი დღიური ლიმიტები მოცემულია ბარათით მომსახურების ტარიფებში.

26. ბარათებზე ასევე დაწესებულია ტრანზაქციების დღიური რაოდენობრივი ლიმიტი, რომელიც განსაზღვრულია ბარათით მომსახურების ტარიფებით.

27. ბარათი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უკანონო მიზნებისთვის, მათ შორის იმ საქონლის და მომსახურების შესაძენად, რომელიც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

28. ბარათის დაკარგვის/მოპარვის ფაქტის ბანკისათვის არ შეტყობინების ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში, ბანკს არ ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა დაკარგული/მოპარული ბარათით შეტყობინებამდე შესრულებულ ტრანზაქციებზე.

29. ბარათის მფლობელს უფლება აქვს ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას.

30. საერთაშორისო სტოპ-სიაში შესაძლებელია მხოლოდ ვიზა კლასიკის და მასტერქარდ სტანდარტის ბარათის ჩასმა, მხოლოდ ორი კვირის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათის მფლობელის სურვილის მიხედვით თავიდან უნდა მოხდეს ბარათის ჩასმა საერთაშორისო სტოპ-სიაში.

31. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის ჩასმა ხდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით.

32. ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში ჩასმა ხდება მხოლოდ ბარათის მფლობელის ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში.

33. ბარათის მფლობელს შეუძლია ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში მოითხოვოს დაბლოკილი ბარათის განბლოკვა. ბარათის დაბლოკვიდან თხუთმეტი კალენდარული დღის გასვლის შემდეგ ბანკი ბარათის მფლობელისათვის შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე ხურავს ბარათს. დახურული ბარათი არ ექვემდებარება აღდგენას.

34. როგორც ბარათის მფლობელი, ასევე ბარათით მოსარგებლე ვალდებულია:

ა) ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან ბარათის ვადამდე დახურვის შემთხვევაში თხუთმეტი კალენდარული დღის განმავლობაში დაუბრუნოს ბარათი ბანკს;

ბ) შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი/ანგარიშ-ქვითარი და რეგულარულად შეამოწმოს საბარათე ანგარიშის ამონაწერი, არანაკლებ თვეში ერთხელ.

35. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

36. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის ტრანზაქციების არ ცნობის შემთხვევაში წერილობით მიმართოს ბანკს ტრანზაქციის შესრულებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრანზაქცია ჩაითვლება მიღებულად და საჩივარი თანხის დაბრუნების თაობაზე არ მიიღება.

37. ბარათის საშუალებით შეძენილი საქონლის/მომსახურების ხარისხთან და/ან რაოდენობასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზიის შემთხვევაში დავა უნდა გადაწყვიტოს ბარათის მფლობელმა/ბარათით მოსარგებლემ შესაბამის სავაჭრო დაწესებულებასთან. ამასთანავე, კლიენტი არ თავისუფლდება ზემოაღნიშნული სადავო ტრანზაქციის საფუძველზე ბანკის მიმართ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების შესრულებისაგან.

38. ბანკი ვალდებულია დაიცვას ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის პერსონალური მონაცემების და საბარათე ანგარიშის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა (ჩატარებული ოპერაციები, ნაშთები და სხვ.). გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ან/და ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო საბარათე სისტემაში მონაწილეობასთან.

39. ბანკი ვალდებულია ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ამონაწერი საბარათე ანგარიშიდან.

40. ბანკი უფლებამოსილია ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის წინასწარი გაფრთხილების/შეტყობინების გარეშე დროებით დაბლოკოს ბარათი, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ბარათით არასანქცირებული ოპერაციების განხორციელების შესახებ. ბანკის მიერ ბარათი დაბლოკილი იქნება ტრანზაქციების გარკვევამდე, არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბლოკირება უქმდება.

41. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ:

ა) დამზადებული ბარათი არ წაიღო უფლებამოსილმა პირმა ბარათის შეკვეთიდან სამი თვის განმავლობაში;

ბ) პოს ტერმინალის მეშვეობით სავაჭრო (მომსახურების) ობიექტის მიერ ან ბანკომატის მიერ დაკავებული/ამოღებული ბარათი უფლებამოსილმა პირმა არ წაიღო დაკავებიდან/ამოღებიდან 3 თვის განმავლობაში;

გ) კლიენტმა არ დაფარა ბარათის ყოველწლიური საფასური გადახდის თარიღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

42. ბარათის მფლობელი ვალდებულია დაფაროს პლასტიკური ბარათით განხორციელებული ოპერაციის შედეგად ანგარიშზე გადახარჯული თანხა – არასანქცირებული ოვერდრაფტი, მისი წარმოშობიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არასანქცირებული ოვერდრაფტის თანხაზე დაარიცხოს პირგასამტეხლო ბარათით მომსახურების ტარიფებით დადგენილი განაკვეთის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება დავალიანების სრულად დაფარვამდე, არაუმეტეს 90 კალენდარული დღისა.

43. ბანკი უფლებამოსილია ბარათის დამზადების და/ან ვადის გასვლის შესახებ ბარათის მფლობელს/ბარათით მოსარგებლეს მიაწოდოს ინფორმაცია SMS-ის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საშუალებით.

44. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის მხრიდან ისეთი სახის პრეტენზიაზე, როგორიცაა ბარათის გამოყენება მესამე პირის მიერ ბარათის მფლობელის/ბარათით მოსარგებლის ნების საწინააღმდეგოდ, თუ ეს ბანკის ბრალეულობით არ არის გამოწვეული. აღნიშნულზე სრულ პასუხისმგებლობას იღებენ ბარათის მფლობელი/ბარათით მოსარგებლე და ბანკი პასუხს არ აგებს დამდგარ ზიანზე.

45. საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში თანხის შეტანის, განაღდების/ გადახდის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან ჩამოიჭრება/ჩაირიცხება ტრანზაქციის ექვივალენტი თანხა. კონვერტაციის კურსი დამოკიდებულია ტრანზაქციის შემსრულებელ ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

- საქართველოს პროკრედიტ ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება ტრანზაქციის დღეს ბანკის შიდა კომერციული კურსით;

- სხვა ბანკის ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელში კონვერტაცია სრულდება მასტერქარდის ან ვიზას მიერ დადგენილი კურსით.

46. ბარათზე ბარათის მფლობელის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები: საბარათე ანგარიშის (ძირითადი და/ან დამატებითი საბართე ანაგრიშის - ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლა, ბარათზე ანგარიშის მიბმა/მოხსნა, ბარათზე CVV2/CVC2 კოდის გათიშვა/ჩართვა, ბარათის დაბლოკვა/განბლოკვა, ბარათზე დღიური განაღდების/ხარჯვის ლიმიტის გაზრდა, ბარათის დახურვა. ბარათის დაბლოკვის უფლება ასევე აქვს ბარათით მოსარგებლეს.

47. CVV2/CVC2 კოდი არის ბარათის უკანა მხარეს ხელმოწერისთვის განკუთვნილ ზოლზე მითითებული ციფრებიდან ბოლო სამი ციფრი, რომელიც არის ბარათის საიდენტიფიკაციო კოდი და გამოიყენება ელექტრონული (ინტერნეტ) გადახდის დროს. CVV2 კოდი გააჩნიათ ვიზას ტიპის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო CVC2 კოდი – მასტერქარდის ტიპის ბარათებს.

48. ინტერნეტით შესყიდვებისას თუ ვებ-გვერდი არ ითვალისწინებს ტრანზაქციის CVV2/CVC2 კოდით დადასტურებას, მაშინ ბარათით მოსარგებლე ამ ვებ-გვერდზე ბარათით შესყიდვას ვერ განახორციელებს. ასეთ შემთხვევაში ბარათის მფლობელმა უნდა მიმართოს ბანკს CVV2/CVC2 კოდის გათიშვის შესახებ მოთხოვნით. ბარათის მფლობელს ასევე შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს CVV2/CVC2 კოდის ჩართვა. კოდის ხელახლა ჩართვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი არ თავისუფლდება ინტერნეტში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის პასუხისმგებლობისაგან.

49. 49. ბარათზე ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება ბარათის მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ცვლილების მოთხოვნით ბარათის მფლობელს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ ფილიალს/სერვის ცენტრს/სერვის პუნქტს. გამონაკლისი არის მხოლოდ ბარათზე ძირითადი ანგარიშის ცვლილება (გარდა ბიზნეს ბარათისა), ბარათის დაბლოკვა და სტოპ-სიაში ჩასმა, ბარათზე დღიური განაღდების/გადახდების ლიმიტის გაზრდა (გარდა ბიზნეს ბარათისა), რომლ(ებ)იც ასევე შესაძლებელია სატელეფონო ზარის საშუალებით, შემდეგ ტელეფონის ნომერზე: *2222 +995 32 220-22-22, +995 599 214 214 - მხოლოდ 09:00 საათიდან 22:00 საათამდე.

50. **3D Security (3Dკოდი)**

კლიენტს შეუძლია ბარათს მიანიჭოს ასევე 3D კოდი (3D Security), რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს. 3D კოდი გამოიყენება "Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსის მქონე ვებ–გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას. 3Dკოდი ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის.

ბანკის რეკომენდაციაა, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსის მქონე ვებ–გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია.

პროკრედიტ ბანკის VISA და MasterCard ბარათებზე 3D კოდის მინიჭება ხდება უშუალოდ ბარათის მფლობელის მიერ ინტერნეტ შესყიდვის განხორციელებისას, კერძოდ როდესაც შესაბამის ვებ-გვერდზე ("Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსით) კლიენტი შეძენის მიზნით ირჩევს სასურველ პროდუქციას ან მომსახურებას, ბარათის ინფორმაციის დაფიქსირების შემდეგ მოხდება ავტომატური გადამისამართება ვებ-გვერდზე (https://vbv.procreditbank.com), სადაც შესაძლებელი იქნება კლიენტმა გაიაროს შებამისი რეგისტრაცია და მიანიჭოს ბარათს სასურველი 3D კოდი.

რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

ა. ბარათის მფლობელის დაბადების თარიღი;

ბ. ბარათის მფლობელის პირადი ნომერი;

გ. ბარათის მფლობელისათვის ბანკში მინიჭებული კლიენტის ნომერი;

დ. ბარათის მოქმედების ვადა;

ბარათზე 3D კოდის მინიჭების პროცესის გავლა საჭიროა მხოლოდ ერთხელ, ხოლო მისი გამოყენება ხდება ყოველი ინტერნეტ შესყიდვის დასადასტურებლად „Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსის მქონე ვებ–გვერდზე. 3D კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში მოხდება არსებული 3D კოდის დაბლოკვა.

კლიენტს შეუძლია 3D კოდის დავიწყების ან დაბლოკვის შემთხვევაში, დაუკავშირდეს დისტანციური ბანკინგის ქვეგანყოფილებას *2222, +995 32 220 22 22 - მხოლოდ 09:00 საათიდან 22:00 საათამდე.

საბანკო პლასტიკური ბარათების სპეციალური დებულებები

მუხლი 17. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათი

1. ფიზიკური პირის პლასტიკური ბარათის („ბარათი“) მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი.

2. ბარათი შეიძლება იყოს როგორც „ვიზას“, ასევე “მასტერქარდის” ტიპის პლასტიკური ბარათი.

3. ბარათი სადებეტო ტიპისაა.

4. კლიენტისთვის ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

5. ბარათზე ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის კლიენტს ბანკში გახსნილი უნდა ქონდეს მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი.

6. ბარათზე შესაძლებელია არაუმეტეს სამი მიმდინარე ანგარიშის მიბმა, რომლ(ებ)იც წარმოდგენილი შეიძლება იყოს მაქსიმუმ სამ სხვადასხვა ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო). ბარათზე მიბმული ანგარიშებიდან მხოლოდ ერთი ანგარიში არის ძირითადი, ხოლო დანარჩენი ორი არის დამატებითი ანგარიშები. ძირითად და დამატებით საბარათე ანგარიშებს ირჩევს კლიენტი ბარათის შეკვეთის დროს:

   - **ძირითადი საბარათე ანგარიში** – პოს-ტერმინალით, ინტერნეტით და არა პროკრედიტ ბანკის ბანკომატით ოპერაციების შესრულების დროს შესაძლებელია მხოლოდ ძირითად საბარათე ანგარიშზე არსებული თანხების გამოყენება.

   - **დამატებითი საბარათე ანგარიში** – პროკრედიტ ბანკის ბანკომატით ოპერაციების შესრულების დროს შესაძლებელია დამატებით და ძირითად საბარათე ანგარიშებზე არსებული თანხების გამოყენება.

მუხლი 18. ბიზნეს ბარათი

1. ბიზნეს ბარათი („ბარათი“) არის „ვიზას“ ტიპის საბანკო პლასტიკური ბარათი, რომელიც ბარათით მოსარგებლეს საშუალებას აძლევს განკარგოს იურიდიული პირის (ბარათის მფლობელის) საბარათე ტიპის ანგარიში და შეასრულოს ოპერაციები.

2. ბარათის მფლობელი არის იურიდიული პირი, რომლის საბარათე ტიპის ანგარიშების განკარგვაც ხდება ბარათით, ხოლო ბარათით მოსარგებლე არის ბარათის მფლობელსა და ბანკს შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი სრულწლოვანი ფიზიკური პირი, რომლის სახელი და გვარი იქნება ამოტვიფრული ბარათზე და რომელიც შეძლებს ბარათით სარგებლობას.

3. ბარათი სადებეტო ტიპისაა.

4. შეკვეთილი და დამზადებული ბარათის და პინ-კოდის მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ბარათით მოსარგებლეს.

5. კოდური კითხვა-პასუხი ბარათით მოსარგებლისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ ბარათის და პინ კოდის მიღების დროს. ბარათის მფლობელი და ბარათით მოსარგებლე სარგებლობენ ერთი და იგივე კოდური კითხვა-პასუხით და ეკრძალებათ ამ ინფორმაციის სხვა პირისთვის გადაცემა.

6. ბარათის მფლობელს შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის ბარათების შეკვეთა.

7. ბარათზე ხდება საბარათე ტიპის ანაგრიშის მიმაგრება. ბარათით მომსახურებისთვის ბარათის მფლობელს სს „პროკრედიტ ბანკში“ გახსნილი უნდა ქონდეს მიმდინარე და საბარათე ტიპის ანგარიშები. ბარათით შესრულებული ოპერაციები აისახება საბარათე ტიპის ანგარიშზე. საბარათე ანგარიშების რაოდენობა შეზღუდული არ არის. შესაძლებელია ნებისმიერი რაოდენობის საბარათე ტიპის ანგარიშის გახსნა ლარში, აშშ დოლარში და ევროში.

8. ბარათის მფლობელის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ერთ საბარათე ტიპის ანგარიშზე მიმაგრებული იყოს რამდენიმე ბარათი. ერთ ბარათზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი საბარათე ტიპის ანგარიშის მიმაგრება.

9. ბარათზე მიმაგრებულ საბარათე ტიპის ანგარიშზე თანხის განთავსების უფლება აქვს მხოლოდ ბარათის მფლობელს. თანხის განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ბარათის მფლობელის მიმდინარე ანგარიშიდან უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და უნაღდო კონვერტაციით.

10. საბარათე ტიპის ანგარიშზე თანხის განთავსების მიზნობრიობა შეზღუდულია და მასზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საბარათე ტიპის ანგარიშის შევსების მიზნით.

11. საბარათე ტიპის ანგარიშიდან თანხის გადატანა ბარათის მფლობელს შეუძლია მხოლოდ პროკრედიტ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების ან/და უნაღდო კონვერტაციის გზით.

12. ბარათით მოსარგებლეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მხოლოდ მის სარგებლობაში არსებული ბარათ(ებ)ით განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

მუხლი 19. ბარათების უსაფრთხოების სახელმძღვანელო

1. წინამდებარე მუხლში მოცემულია როგორც პროკრედიტ ბანკის მიერ გატარებული და დანერგილი უსაფრთხოების ზომები, ასევე მითითებები, რომელთა გათვალისწინება კლიენტს დაეხმარება პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილებაში.

2. **პინ - კოდი:**

   2.1. პინ-კოდი წარმოადგენს პერსონალური იდენტიფიკაციის 4-ციფრიან ნომერს. პინ-კოდი არის კონფიდენციალური. ის მხოლოდ კლიენტისთვისაა ცნობილი და ევალება დაიცვას მისი საიდუმლოება. უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი: Ö

   - პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, ბანკის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;
   - პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;
   - პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება;
   - პინ-კოდის გამჟღავნება ელ. ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;
   - პინ-კოდის გამოყენება, გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა.

   2.2. აღნიშნული მითითებების გათვალისწინება არის უსაფრთხოების გარანტია ბარათის გაყალბების და/ან ფულადი სახსრების დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით.

   2.3. ინტერნეტით შესრულებული ტრანზაქცია არ საჭიროებს პინ-კოდით დადასტურებას.

3. 3D Security (3D კოდი) წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას, რომელიც "Verified by VISA" და/ან "MasterCard SecureCode" სტატუსის მქონე ვებ-გვერდებზე შესყიდვების დადასტურებას მოითხოვს 3D კოდით. 3D კოდი წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს, რომელიც ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის. ბანკის რეკომენდაციაა, კლიენტმა განახორციელოს ბარათისათვის 3D კოდის მინიჭება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება გაასაჩივროს „Verified by VISA" და/ან "MasterCardSecureCode" სტატუსის მქონე ვებ-გვერდზე 3D კოდის გარეშე განხორციელებული ტრანზაქცია. უსაფრთხოების მიზნით (3D კოდის თავისებურებათა გათვალისწინებით) ასევე აკრძალულია მე-2 პუნქტში მითითებული ქმედებები.

4. **კოდური კითხვა - პასუხი:**

   - ბარათის შეკვეთის დროს ხდება კოდური კითხვა-პასუხის შეთანხმება, რომლის გარეშე პირისათვის გადაცემაც იკრძალება.
   - კოდური კითხვა-პასუხი წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც გამოიყენება ბანკის მიერ ტელეფონის საშუალებით ბარათის შემკვეთის/ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციისთვის.

5. **პლასტიკური ბარათის სავაჭრო ობიექტებში და ბანკომატში გამოყენება:**

   5.1. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შენაძენის საფასურის პლასტიკური ბარათით გადახდა ხორციელდება პოს-ტერმინალის მეშვეობით. პროკრედიტ ბანკის ყველა პოს-ტერმინალი კითხულობს როგორც ჩიპს, ასევე მაგნიტურ ზოლს. პროკრედიტ ბანკის პოს-ტერმინალით გადახდისას ბარათის მფლობელმა ტრანზაქცია უნდა დაადასტუროს პინ-კოდით, რაც ზრდის ბარათის მფლობელისა და სავაჭრო/მომსახურების ობიექტის თანხების უსაფრთხოების ხარისხს.

   - კლიენტმა აუცილებელია მოითხოვოს, რომ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში პლასტიკური ბარათით საგადამხდელო ოპერაციები განხორციელდეს კლიენტის თანდასწრებით და არ გაატანოს ბარათი მომსახურე პერსონალს.
   - შენაძენის საფასურის გადახდის დროს სათანადო ქვითრის პინ-კოდით დადასტურებისას კლიენტმა უნდა გააკონტროლოს ქვითარზე მითითებულ თანხის, ვალუტისა და თარიღის სისწორე და მოითხოვოს ქვითრის ასლი. კლიენტი უნდა დარწმუნდეს, რომ პინ-კოდის შეყვანისას კლიენტის კონფიდენციალურობის უფლებები არ ირღვევა.
   - ბანკომატში ბარათის გამოსაყენებლად აუცილებელია პინ-კოდის შეყვანა. ბანკომატი არ უნდა იყოს გარეგნულად დაზიანებული და ბანკომატის კორპუსზე არ უნდა იყოს დამონტაჟებული დამატებითი მოწყობილობები.

6. **პლასტიკური ბარათის გამოყენება ინტერნეტის საშუალებით:**

6.1. ინტერნეტში შესაძლებელია პროკრედიტ ბანკის ვიზა კლასიკის, ვიზა ბიზნესისა და მასტერქარდ სტანდარტის ტიპის ბარათების გამოყენება.

6.2. ინტერნეტში შესყიდვის შესასრულებლად საჭიროა ბარათის სრული ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი და, ასევე, ხელმოწერის გრაფაში არსებული ბოლო სამი ციფრი: CVV2/CVC2 კოდი Card Verification Value – ბარათის ვერიფიკაციის მნიშვნელობა) და/ან 3D კოდი.

CVV2 კოდი გააჩნიათ ვიზას ტიპის პლასტიკურ ბარათებს, ხოლო CVC2 კოდი გააჩნიათ მასტერქარდის ტიპის ბარათებს.

უსაფრთხოების მიზნით აკრძალულია:

- ბარათის გადაცემა სხვა პირისთვის ან ბარათზე არსებული ინფორმაციის გამჟღავნება, ვინაიდან გაცემული ინფორმაცია საკმარისი იქნება არა ავტორიზებული შესყიდვებისთვის.

უსაფრთხოების მიზნით სასურველია:

- ბარათი გამოყენებულ იქნას მხოლოდ დაცულ და ნაცნობ ვებ-გვერდებზე, სადაც მოითხოვება CVV2/CVC2 და/ან 3D კოდით შესყიდვის დადასტურება. დაცული ვებ-გვერდები ძირითადად იწყება https და არა http. ასევე, დაცულ ვებ-გვერდებზე ყოველთვის არსებობს დაცვის სისტემის ნიშნები "Verified by VISA", "MasterCard SecureCode" და ა.შ.

- კლიენტმა მუდმივად უნდა გააკონტროლოს ბარათის შენახვის ადგილი და ასევე, ბარათზე კლიენტის მიერ შერჩეულ ძირითად ანგარიშზე თანხების ბრუნვა. კონტროლი შესაძლებელია ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით, ასევე SMS მომსახურებით. SMS მომსახურებისას კლიენტი მიიღებს ინფორმაციას ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

- ამასთანავე, ბანკი თავისი ინიციატივით არასდროს დაუკავშირდება კლიენტს ბარათის სრული ნომრის, პინ-კოდის ან CVV2/CVC2 და/ან 3D კოდის დასაზუსტებლად.

7. **ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება დაეხმარება კლიენტს უფრო უსაფრთხოდ გამოიყენოს პლასტიკური ბარათები. ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში, კლიენტს შეუძლია დაუკავშირდეს distanciuri bankingis qveganyofilebas: *2222; +995 32 220-22-22, +995 599 214 214 (09:00 საათიდან 22:00 საათამდე) ან support@procreditbank.ge; ასევე დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე:http://www.procreditbank.ge/.**

7[1]. პლასტიკური ბარათის დაბლოკვა - ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, ასევე, თუ პინ-კოდი, 3D კოდი და/ან ბარათის ზედაპირზე განთავსებული ინფორმაცია ცნობილი გახდა მესამე პირთათვის, ბარათით მოსარგებლე/ბარათის მფლობელი ვალდებულია დაბლოკოს ბარათი ერთ-ერთი არხის საშუალებით:

- **ინტერნეტ ბანკინგის** ფუნქციით „პლასტიკური ბარათების დაბლოკვა" მენიუდან „ჩემი ბარათები";

- ბანკის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის მობილური ტელეფონის ნომრიდან **მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით** ნომერზე 2022 (SMS ტექსტი: BLOCK და დასაბლოკი ბარათის ბოლო 4 ციფრი მაგ.: BLOCK1234, ხოლო ბარათის ბოლო 4 ციფრის გასაგებად გააგზავნეთ შეტყობინება ნომერზე 2022 SMS ტექსტით 14). ბანკი ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის იდენტიფიკაციას მოახდენს მობილური ტელეფონის ნომრით, რომელიც დაფიქსირებულია ბანკის მონაცემთა ბაზაში ბარათით მოსარგებლის/ბარათის მფლობელის ტელეფონის ნომრად.

- **დაუკავშირდეთ** ბანკს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე - **მხოლოდ 09:00 საათიდან 22:00 საათამდე** ან მიმართოთ ბანკის ნებისმიერ ფილიალს, ფილიალის სამუშაო საათებში.

8. კლიენტის მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულებების, რეკომენადაციების და/ან მითითებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტის ან მესამე პირების მიმართ დამდგარ ზიანზე სრულადაა პასუხისმგებელი თავად კლიენტი.

9. პროკრედიტ ბანკის ბარათები აღჭურვილია შემდეგი დამცავი ნიშნებით:

ემიტენტი
ბარათის გამომშვები ბანკის ან ფინანსური ორგანიზაციის დასახელება

ჩიპი
მიკროსქემა, რომელზეც ჩაწერილია ბარათის მფლობელის მონაცემები

ბარათის ნომერი
16 ნიშნიანი ნომერი, რომლის პირველი 4 ციფრი დაბეჭდილია მცირე შრიფტითაც

ბარათის მფლობელი
სახელი და გვარი, ის უნდა ემთხვეოდეს ქვითარზე ამობეჭდილ სახელსა და გვარს

Visa-ს ლოგო
ლოგოში გამოყენებულია ლურჯი, თეთრი და ოქროსფერი ტონები

ჰოლოგრამა
მფრინავი მტრედი, რომელიც იცვლის განლაგებას

მოქმედების ვადა
ამოტვიფრულია შემდეგი ფორმატით:
თვე თვე/წელი წელი

ემიტენტი
ბარათის გამომშვები ბანკის ან ფინანსური ორგანიზაციის დასახელება

ჩიპი
მიკროსქემა, რომელზეც ჩაწერილია ბარათის მფლობელის მონაცემები

ბარათის ნომერი
16 ნიშნიანი ნომერი, რომლის პირველი 4 ციფრი დაბეჭდილია მცირე შრიფტითაც

ბარათის მფლობელი
სახელი და გვარი, ის უნდა ემთხვეოდეს ქვითარზე ამობეჭდილ სახელსა და გვარს

MasterCard - ის ლოგო
ერთმანეთთან დაკავშირებული წითელი და ოქროსფერი ან წითელი და ლურჯი წრეები

ჰოლოგრამა
მსოფლიოს ორი ნახევარსფერო, რომელიც იცვლის პოზიციას

მოქმედების ვადა
ამოტვიფრულია შემდეგი ფორმატით:
თვე თვე/წელი წელი

მაგნიტური ზოლი
მაგნიტურ ზოლზე დატანილია ინფორმაცია ბარათის მფლობელის შესახებ

ხელმოწერის ზოლი
ამ ზოლში აუცილებლად უნდა იყოს მფლობელის ხელმოწერა

CVV2 / CVC2 კოდი
სამნიშნა რიცხვი, რომელიც წარმოადგენს დაცვის მექანიზმს და გამოიყენება ინტერნეტ ტრანზაქციებისთვის

ბარათის ნომერი
ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს ბარათის ნომრის ბოლო 4 ციფრს გარდა მაესტრო ტიპის ბარათისა

თავი V

ინტერნეტ ბანკინგი

მუხლი 20.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე“.**

2. ამ მუხლში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ინტერნეტ ბანკინგი - ინტერნეტ ტექნოლოგიების მეშვეობით შექმნილი ელექტრონული სისტემა, რომლითაც შესაძლებელია ინტერენტის საშულებით საბანკო მომსახურების დისტანციურად მიღება. ინტერნეტ ბანკინგის ვებ მისამართია: https://online.procreditbank.ge

ბ) ელექტრონული საგადახდო დოკუმენტი - კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს კლიენტის შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს და არის ორიგინალი საბუთის ტოლფასი.

გ) მომხმარებლის სახელი - ინტერნეტ ბანკინგის მომხმარებლის უნიკალური სახელი, რომელიც ენიჭება მას ინტერნეტ ბანკინგში ჩართვისას და რომელიც გამოიყენება პაროლთან ერთად ინტერნეტ ბანკინგში შესასვლელად.

დ) პაროლი - ასოებისა და ციფრების კომბინაცია რომელიც გამოიყენება მომხმარებლის სახელთან ერთად ინტერნეტ ბანკინგში შესასვლელად.

ე) TAN - ტრანზაქციის ავტორიზაციის ნომერი, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ციფრულ კომბინაციას და გამოიყენება ელექტრონული საგადახდო დოკუმენტის რეგისტრაციისას.

ვ) TAN-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობები/საშუალებები:

- **დიგიპას მოწყობილობა;**
- **SMS კოდი;**
- **Mobile Token–ის აპლიკაცია**

ზ) ძირითადი მომხმარებელი - ფიზიკური პირის შემთხვევაში ძირითადი მომხმარებელი არის უშუალოდ ის ფიზიკური პირი, ვის სახელზეც გახსნილია ანგარიში. იურიდიული პირის შემთხვევაში ძირითადი მომხმარებელი არის ამ იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

თ) დამატებითი მომხმარებელი - ძირითადი მომხმარებლის მიერ საკუთარ ინტერნეტ ბანკინგში დარეგისტრირებული დამატებითი მომხმარებელი, რომელიც სარგებლობს ინტერნეტ ბანკინგში შეზღუდული უფლებებით.

ი) საანგარიშსწორებო თარიღ(ებ)ი - ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების საკომისიოს დაფარვის თარიღ(ებ)ი, რომელიც აითვლება ბანკის მიერ კლიენტისათვის **TAN**-ის საგენერაციო თითოეული ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების გადაცემის თარიღ(ებ)იდან.

3. ბანკი ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით უზრუნველყოფს კლიენტისათვის ელექტრონულ საბანკო მომსახურებას, რომელშიც შედის ინფორმაციის უზრუნველყოფა ინტერნეტ ბანკინგში ჩართული კლიენტის (ასევე დამატებითი კლიენტის) ანგარიშების შესახებ, ელექტრონული საგადახდო დოკუმენტების გაცვლა კლიენტსა და ბანკს შორის, საბანკო ანგარიშ(ებ)ის გახსნა, სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობისათვის მოთხოვნის/განაცხადის წარდგენა და/ან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება. მოთხოვნის/განაცხადის წარდგენა და/ან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება განხორციელდება მხოლოდ ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით, ელექტრონული წერილობითი ფორმით, რაც საკმარისია მათი ძალაში შესვლისათვის.

4. ინტერნეტ ბანკინგში გამოყენებულ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტს ქაღალდის საგადახდო დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა აქვს. ელექტრონული საგადახდო დოკუმენტები გამოიყენება, როგორც საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ კლიენტის ანგარიშებზე განხორციელდეს ოპერაციები. კლიენტისათვის მისაღებია, რომ წინამდებარე პირობების შესაბამისად გამოყენებული ინტერნეტ ბანკინგი ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის უსაფრთხოდ და საიმედოდ გადაცემის საშუალებას იძლევა, რაც საკმარისია ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად.

5. კლიენტის სურვილის შემთხვევში ბანკი გადასცემს მას "დიგიპასს" დროებით სარგებლობაში და/ან **TAN**-ის საგენერაციო სხვა ელექტრონულ მოწყობილობას/ საშუალებას. ოპერაციის/ტრანზაქციის/სხვა მოქმედების **TAN**-ით ავტორიზაცია (დადასტურება) აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერნეტ ბანკინგის მიერ ხდება ასეთი ავტორიზაციის მოთხოვნა.

6. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოდგენილია მომსახურების ორი განსხვავებული პაკეტით:

   - **სტანდარტული პაკეტი:** ამ შემთხვევაში კლიენტს არ გადაეცემა "დიგიპასი" დროებით სარგებლობაში და/ან **TAN**-ის საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობა/ საშუალება. მომხმარებელს შეეძლება ნახოს თავისი ანგარიშები, შეასრულოს ოპერაციები მხოლოდ მის კუთვნილ ანგარიშებს შორის, განახორციელოს კომუნალური და სხვა სახის გადახდები;

   - **სრული პაკეტი:** ამ შემთხვევაში კლიენტს გადაეცემა "დიგიპასი" დროებით სარგებლობაში და/ან **TAN**-ის საგენერაციო სხვა ელექტრონული მოწყობილობა/ საშუალება. მას დამატებით შეეძლება სხვა (მესამე) პირის ანგარიშებზე გადარიცხვების წარმოება და სხვა საბანკო ოპერაციების შესრულება. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობისათვის მოთხოვნის/ განაცხადის წარდგენა და/ან ხელშეკრულებების გაფორმება,მათ შორის ანგარიშ(ებ)ის გახსნა.

7. მხარეებისათვის მისაღებია, რომ ინტერნეტ ბანკინგში, ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებთან მუშაობისას, კლიენტის იდენტიფიცირება ხდება მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სხვა (მესამე) პირის ანგარიშებზე გადარიცხვის განსახორციელებლად ბანკი კლიენტისგან დამატებით მოითხოვს ავტორიზაციას TAN-ით.

8. კლიენტის სურვილის შემთხვევში შესაძლებელია ინტერნეტ ბანკინგში დამატებითი მომხმარებლის დარეგისტრირება, რომელიც არ არის სავალდებულო იყოს ბანკის კლიენტი.

9. თითოეულ ინტერნეტ ბანკინგში მომხმარებელთა რაოდენობა განსაზღვრულია და შეადგენს მაქსიმუმ 10 მომხმარებელს, აქედან 1 ძირითადი და 9 დამატებითი მომხმარებელი.

10. თითოეულ ინტერნეტ ბანკინგში შესაძლებელია ჯამურად მაქსიმუმ **TAN**-ის საგენერაციო ათი ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დარეგისტრირება.

11. ბანკი ანიჭებს კლიენტს (ძირითად მომხმარებელს) მომხმარებლის სახელს და ერთჯერად პაროლს ინტერნეტ ბანკინგში პირველად შესასვლელად და დაუყონებლივ უგზავნის მას პერსონალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. კლიენტს შეუძლია შევიდეს ინტერნეტ ბანკინგში მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღებისთანავე.

12. თუ კლიენტი (ძირითადი მომხმარებელი) არ გამოიყენებს ერთჯერად პაროლს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, მაშინ ერთჯერადი პაროლი დაიბლოკება და კლიენტი დაკარგავს უფლებას შევიდეს ინტერნეტ ბანკინგში აღნიშნული პაროლის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია დარეკოს ან მივიდეს ბანკში და მოითხოვოს ახალი ერთჯერადი პაროლი. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტს მოეთხოვება სწორი პასუხი გასცეს კოდურ შეკითხვას, რომელიც დაფიქსირებულია ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების ხელშეკრულებაში.

13. თუ კლიენტმა (ძირითადმა მომხმარებელმა) დაკარგა ან თუ მას დაავიწყდა პაროლი, იგი უფლებამოსილია დარეკოს ან მივიდეს ბანკში და მოითხოვოს ახალი ერთჯერადი პაროლი, რომელიც ასევე უნდა შეიცვალოს ინტერნეტ ბანკინგში შესვლისთანავე. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტს მოეთხოვება სწორი პასუხი გასცეს კოდურ შეკითხვას, რომელიც დაფიქსირებულია ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების ხელშეკრულებაში.

14. დამატებითი მომხმარებლის დამატება/წაშლას და უფლებების ადმინისტრირებას ინტერნეტ ბანკინგში კერძოდ, ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების უფლებების განსაზღვრას, მასზე **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების გადაცემა/ჩამორთმევას, მომსახურების დაბლოკვა / განბლოკვას, პაროლის აღდგენას ახორციელებს ძირითადი მომხმარებელი.

15. თუ კლიენტი არის მეწარმე სუბიექტი და მის მიერ ინტერნეტ ბანკინგით უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ექვივალენტს, მაშინ იგი ვალდებულია დაუყონებლივ ფაქსით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით (დასკანერებული სახით) გამოაგზავნოს ბანკში აღნიშნული გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა არ შესრულდება.

16. ინტერნეტ ბანკინგით შესრულებულ ოპერაციებზე დადგენილია ლიმიტები. ლიმიტები მოცემულია ტარიფებში.

17. დადგენილ ლიმიტებზე მეტ თანხაზე შესრულებული ოპერაცია უარყოფილი იქნება ინტერნეტ ბანკინგის სისტემის მიერ.

18. კლიენტის მიერ წარმოდგენილი ელექტრონული საგადახდო დოკუმენტით საბანკო ოპერაცია შესრულდება ბანკში არსებული ზოგადი წესების შესაბამისად. ოპერაცია ბანკის მიერ ითვლება შესრულებულად მას შემდეგ, რაც ბანკი მოახდენს ოპერაციის ავტორიზებას და ინტერნეტ ბანკინგში ოპერაცია აისახება სტატუსით "შესრულებული".

19. ბანკი დაამუშავებს ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტს. ბანკს შეუძლია უარი განაცხადოს ელექტრონული დოკუმენტის მიღებასა და დამუშავებაზე თუ არსებობს რაიმე საფუძვლიანი ეჭვი დოკუმენტის ნამდვილობასთან დაკავშირებით. ბანკს ასევე შეუძლია მოითხოვოს კლიენტის პირადობის დადასტურება და/ან განზრახვის საფუძველი, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას ფაქსით, ტელეფონით, პირადად, ან კლიენტისა და ბანკისათვის მისაღები სხვა საშუალებით.

20. ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების ერთ პაკეტში ხდება მხოლოდ ერთი კლიენტის ანგარიშ(ებ)ის მიბმა, გარდა ამ მუხლის 21-ე პუნქტში აღწერილი შემთხვევისა.

21. ფიზიკური პირის შემთხვევაში შესაძლებელია ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების ერთ პაკეტში, კლიენტის სურვილის მიხედვით, გაერთიანდეს დამატებით კლიენტზე გახსნილი საბავშვო ანაბარი, მხოლოდ ნახვის უფლებით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფიზიკური პირი არის მეანაბრის მშობელი.

22. როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი კლიენტისათვის ახალი ანგარიშ(ებ)ის გახსნის შემთხვევაში მათი ჩართვა ინტერნეტ ბანკინგში მოხდება ავტომატურად.

23. კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს ინტერნეტ ბანკინგი ინტერნეტ ბანკინგის პროგრამასთან მუშაობის სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში "ინტერნეტ ბანკინგი" და ხელმისაწვდომი ხდება ინტერნეტ ბანკინგში კლიენტის შესვლის შემდეგ.

24. კლიენტმა თავიდან უნდა აიცილოს ინტერნეტ ბანკინგში უფლების არმქონე მესამე მხარეთა შესვლა მისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით. კლიენტი სრულად პასუხისმგებელია ინტერნეტ ბანკინგის მეშვეობით გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე, სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით და/ან მომსახურებით სარგებლობაზე და ყველა ოპერაციაზე, რომელიც გაეგზავნება ბანკს სათანადო მომხმარებლის სახელით, პაროლით და TAN-ით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

25. უსაფრთხოების მიზნით, კლიენტი ვალდებულია პერიოდულად განაახლოს ინტერნეტ ბანკინგში შესასვლელი მომხმარებლის პაროლი, მაგრამ არაუგვიანეს ყოველი 12 თვისა. სისტემა იმახსოვრებს ბოლო 3 პაროლს, რომლის გამოყენებაც ვეღარ მოხდება.

26. თუ კლიენტს გაუჩნდა ეჭვი იმისა, რომ მისი მომხმარებლის სახელი და პაროლი გახდა ცნობილი მესამე პირისთვის და/ან მისი **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობა/საშუალება და/ან მობილური ტელეფონი იქნა მოპარული ან დაკარგული, კლიენტი ვალდებულია დაუკავშირდეს ბანკს და მოითხოვოს მისი ინტერნეტ ბანკინგის ბლოკირება. თუ კლიენტმა არ აცნობა ბანკს მისი პაროლისა და/ან **TAN**-ის საგენერაციო ელექტრონული მოწყობილობის (საშუალების)/მობილური ტელეფონის დაკარგვის შესახებ, მაშინ კლიენტი სრულად პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ინტერნეტ ბანკინგით ჩატარებული ოპერაციების შედეგად.

27. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება იმ ფაქტს, რომ **TAN**-ის SMS-ით მიღება შესაძლებელია დაგვიანდეს, რაც გამოწვეულია პროვაიდერი მობილური ოპერატორის მხრიდან ტექნიკური შეფერხებით და აღნიშნულ ფაქტზე ან დამდგარ შედეგებზე ბანკი პასუხისმგებელი არ არის.

28. კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკინგის დაბლოკვის მოთხოვნის შემდეგ, ინტერნეტ ბანკინგით კლიენტის მომხმარებლის სახელითა და პაროლით შესრულებულ ოპერაციებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკს.

29. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით არასანქცირებული ან საეჭვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით დაბლოკოს მომხმარებლისთვის ინტერნეტ ბანკინგის პროგრამაში წვდომის უფლება.

30. ინტერნეტ ბანკინგის ბლოკირების შემთხვევაში, ავტომატურად ხდება ინტერნეტ ბანკინგით მოსარგებლე ყველა დამატებითი მომხმარებლის წვდომის უფლების ბლოკირება.

31. ბანკს უფლება აქვს არ მიიღოს შესასრულებლად კლიენტის ელექტრონული დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუ:

- ელექტრონული დოკუმენტი არ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას;
- ელექტრონული დოკუმენტის რომელიმე ველი შეიცავს არასწორ ინფორმაციას;
- კლიენტის მიერ არ იყო გამოგზავნილი უცხოური ვალუტის გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კლიენტის მხრიდან მოხდა წინამდებარე დოკუმენტით ან ბანკის მიერ დადგენილი რომელიმე წესის დარღვევა.

32. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების საკომისიო კლიენტის საბანკო ანგარიშებიდან ჩამოიწერება საანგარიშსწორებო თარიღ(ებ)ის დადგომის დღეს.

33. ბანკი უფლებამოსილია, წინასწარი შეტყობინების/გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გაუუქმოს კლიენტს ინტერნეტ ბანკინგით მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშსწორებო თარიღის დადგომიდან ერთი თვის განმავლობაში არ იქნება დაფარული ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების საკომისიო.

34. **TAN**-ის საგენერაციო ახალი ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს ტარიფებით დადგენილი **TAN**-ის საგენერაციო ახალი ელექტრონული მოწყობილობის/საშუალების დარეგისტრირების საკომისიო.

35. დიგიპასის გამოცვლის შემთხვევაში, თუ მას არ აღენიშნება გარეგნული დაზიანება, ბანკი ვალდებულია გამოუცვალოს კლიენტს აღნიშნული დიგიპასი უფასოდ, თუ მისი დარეგისტრირების თარიღიდან არ არის გასული 2 (ორი) წელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის ტარიფების თანახმად კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ახალი დიგიპასის რეგისტრაციის საკომისიო.

36. გაუქმებული ინტერნეტ ბანკინგის აღდგენა არ ხდება. თუ კლიენტს სურს ინტერნეტ ბანკინგით მომსახურების განახლება, მაშინ კლიენტთან გაფორმდება ახალი ხელშეკრულება ინტერნეტ ბანკინგით მომსახურებაზე და კლიენტს დაეკისრება ბანკის ტარიფებით დადგენილი საკომისიო გადასახადი.

37. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურება მოქმედებს ერთ–ერთი მხარის მიერ მის გაუქმებამდე.

38. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების გაუქმებისას, თუ კლიენტი სარგებლობს “დიგიპასით”, იგი ვალდებულია დაუბრუნოს “დიგიპასი” ბანკს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების გაუქმებისთანავე.

39. ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, მხარეები პასუხისმგებელნი არიან ელექტრონულ საგადასახადო დოკუმენტებზე, რომლებიც რეგისტრირებულია კლიენტის მიერ და მიღებულია ბანკის მიერ ხელშეკრულების გაუქმებამდე.

თავი VI

ავტომატური გადარიცხვების საერთო დებულებები

მუხლი 21.

1. ავტომატური გადარიცხვები რეგულირდება ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით და წარმოადგენს გრძელვადიან სამართლებრივ ურთიერთობას. გადარიცხვები წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს საგადახდო დავალებას ყოველი გადარიცხვისათვის.

2. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშზე გადარიცხვის განხორციელებისთვის და ბანკის შესაბამისი საკომისიოს გადახდისათვის საკმარისი თანხის არსებობა ავტომატური გადარიცხვის თარიღის დადგომამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.

3. ბანკი იღებს ვალდებულებას შეასრულოს გადარიცხვების ოპერაციები კლიენტის ანგარიშიდან ხელშეკრულების საფუძველზე, მასში მითითებული მონაცემების შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გაფორმებული აქვს ერთზე მეტი ხელშეკრულება და მათი შესრულების თარიღი დაემთხვევა ერთ დღეს, მაშინ ბანკი ვალდებულია განახორციელოს ერთეული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადარიცხვის ოპერაციები კლიენტის მიერ წარმოდგენილი ავტომატური გადარიცხვების პრიორიტეტის ცხრილის შესაბამისად.

5. ერთზე მეტი ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ავტომატური გადარიცხვების (ხელშეკრულებების შესრულების) პრიორიტეტების თანრიგის შეცვლა.

6. თავისი შინაარსის გათვალისწინებით ავტომატურ გადარიცხვებზე ვრცელდება საბანკო ანგარიშების საერთო დებულებები, თუ ავტომატური გადარიცხვების საერთო და/ან სპეციალური დებულებები სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

7. კლიენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს ბანკთან გაფორმებული ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია ბანკს აცნობოს წერილობით.

8. ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად, ნებისმიერ დროს (მიუხედავად იმისა, განსაზღვრულია თუ არა ხელშეკრულების ვადა), შეწყვიტოს კლიენტთან გაფორმებული ავტომატური გადარიცხვების შესახებ ხელშეკრულება, რისთვისაც აუცილებელია კლიენტს აცნობოს ერთი კალენდარული დღით ადრე.

9. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ დაიხურება ხელშეკრულებაში მითითებული ანგარიში.

ავტომატური გადარიცხვების სპეციალური დებულებები

მუხლი 22.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„კომუნალური დავალიანების ავტომატური გადარიცხვების შესახებ“.**

2. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას მოახდინოს დავალიანების გადახდა ხელშეკრულებაში მითითებული ანგარიშიდან კომუნალური მომსახურების კომპანიის მიერ მონაცემთა ბაზაში დავალიანების დაფიქსირების პერიოდულობის შესაბამისად.

3. კლიენტის მიერ მაქსიმალური თანხის მითითების შემთხვევაში, თუ კომუნალური მომსახურების კომპანიის მიერ გადმოცემული დავალიანების თანხა მეტი იქნება კლიენტის მიერ მითითებულ მაქსიმალურ გადასარიცხ თანხაზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადარიცხვა ბანკის მიერ არ შესრულდება.

მუხლი 23.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ავტომატური გადარიცხვების შესახებ“.**

2. ბანკი იღებს ვალდებულებას შეასრულოს გადარიცხვების ოპერაციები კლიენტის ძირითადი ანგარიშიდან, ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის მომენტისათვის ხელშეკრულებაში მითითებულ ძირითად ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ იქნება საკმარისი ავტომატური ოპერაციის განხორციელებისა და ბანკის შესაბამისი საკომისიოს გადახდისათვის, მაშინ ამ ანგარიშზე საკმარისი თანხის უზრუნველყოფის მიზნით ბანკი ვალდებულია გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული დამატებითი ანგარიშები (მათ შორის განსხვავებულ ვალუტაში) და მათზე არსებული თანხები გადაიტანოს ძირითად ანაგრიშზე. დამატებითი ანაგრიშების გამოყენება ხდება ხელშეკრულებაში მითითებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ანგარიშების პრიორიტეტები დგინდება ხელშეკრულებაში მათი მითითების რიგითობის მიხედვით.

4. ავტომატური გადარიცხვის შესასრულებლად ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებაში მითითებული დამატებითი ანგარიშებიდან შეასრულოს კონვერტაციის ოპერაციები კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე. კონვერტაცია განხორციელდება გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში არსებული კომერციული კურსით.

5. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს ძირითად ან დამატებით ანგარიშებზე გადარიცხვის განხორციელებისთვის საკმარისი თანხის არსებობა ავტომატური გადარიცხვის თარიღის დადგომამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.

6. კლიენტი უფლებამოსილია შეცვალოს კონკრეტულ ხელშეკრულებაში დამატებითი ანგარიშები ან/და მათი პრიორიტეტის რანგირება.

7. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ დაიხურა ხელშეკრულების ძირითადი ანგარიში და/ან ის ანგარიში, რომელიც გახსნილია პროკრედიტ ბანკში და რომელზეც ხდება თანხის გადატანა.

თავი VII

SMS მომსახურება

მუხლი 24.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„SMS მომსახურების შესახებ“.**

2. ბანკი უგზავნის კლიენტს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციას მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

3. თუ ხელშეკრულებით არჩეულია შეტყობინება „ინფო სერვისი 2022“, მაშინ კლიენტს შეუძლია სასურველი ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით ხელშეკრულებაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან SMS-ით გააგზავნოს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი SMS კოდი ნომერზე: 2022.

ინფორმაცია SMS კოდების და მათი მნიშვნელობების შესახებ			
SMS კოდი	მნიშვნელობა	SMS კოდი	მნიშვნელობა
0	ინფორმაცია SMS კოდების და მათი მნიშვნელობების შესახებ	7	ვალუტის ოფიციალური კურსები: USD, EUR, GBP, RUR
1	მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	8	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: USD/GEL, EUR/GEL, EUR/USD
2	მიმდინარე ანგარიშებზე ხელმისაწვდომი ნაშთების შესახებ ინფორმაცია	9	ვალუტის გაცვლის კომერციული კურსები: GBP/GEL, RUR/GEL
3	შემნახველ ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	10	მიმდინარე ანგარიშების რეკვიზიტები
4	ზრდად ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია	11	შემნახველი ანგარიშების რეკვიზიტები
5	საკრედიტო შენატანის დავალიანების შესახებ ინფორმაცია	12	ინფორმაცია საკრედიტო ბარათის შესახებ
6	საკომისიო დავალიანების შესახებ ინფორმაცია	13	შეტყობინებათა ენის (ქართული/ ინგლისური) შეცვლა
14	ინფორმაცია პლასტიკური ბარათების დასახელების, ნომრის და ბარათის დაბლოკვის მეთოდის შესახებ		

4. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ხელშეკრულებით ამორჩეული აქვს შეტყობინების “პოს-ტერმინალის ჯამური ჩარიცხვები” რეჟიმი, კლიენტი მიიღებს ინფორმაციას ჯამური ბრუნვების შესახებ მის თითოეულ პოს-ტერმიანლზე ცალ-ცალკე. SMS იგზავნება ანგარიშზე თახის ჩარიცხვის შემდეგ და მასში მითითებულია ინფორმაცია წინა დღეს შესრულებული ბრუნვების შესახებ. პოს-ტერმინალით თანხის დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებული თანხა დააკლდება თანხის დაბრუნების დღეს არსებულ ჯამურ ბრუნვას. არასამუშაო დღეს შესრულებული/ჩარიცხული ბრუნვების შესახებ ინფორმაცია იგზავნება მომდევნო სამუშაო დღეს ცალ-ცალკე დღეების მიხედვით.

5. კლიენტი ბანკში შეტყობინების გაგზავნისთვის მის მომსახურე სატელეფონო კომპანიას უხდის სატელეფონო კომპანიის მიერ SMS შეტყობინების გაგზავნისათვის დადგენილ საფასურს.

6. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს, დაამატოს ან გააუქმოს ხელშეკრულებით არჩეული შეტყობინებები.

7. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებაში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ამის შესახებ წერილობითი ფორმით და გააფორმოს ბანკთან ახალი ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის ანგარიშების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევაზე და დამდგარ ზიანზე.

თავი VIII

სატელეფონო პინ-კოდით მომსახურება

მუხლი 25.

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„სატელეფონო პინ-კოდით მომსახურებაზე“.**

2. ხელშეკრულებით ბანკი იღებს ვალდებულებას გადასცეს კლიენტს სატელეფონო პინ-კოდი და გაუწიოს შესაბამისი მომსახურება, რაც გამოიხატება შემდეგში: კლიენტს უფლება აქვს ტელეფონის საშუალებით განახორციელოს საკუთარ ანგარიშებზე ვალუტის უნაღდო კონვერტაცია, მიიღოს ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მისცეს ბანკს საგადახდო დავალება საკუთარ ანგარიშებს შორის თანხ(ებ)ის (ნებისმიერ ვალუტაში) გადარიცხვის შესახებ.

3. ზემოთმითითებული ოპერაციების შესრულებისას, ბანკის მიერ კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ სატელეფონო პინ-კოდისა და კლიენტის სახელი-გვარის/დასახელების მიხედვით. ბანკი ასევე უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, თავისი შეხედულებისამებრ, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით გადაამოწმოს მის ხელთ არსებული სხვა მონაცემებიც. ბანკი ახდენს კლიენტსა და ბანკს შორის სატელეფონო საუბრის ჩაწერას და საკუთარი შეხედულებისამებრ ჩანაწერის სხვადასხვა სახით, მათ შორის არაავტომატური, ნახევრად ავტომატური და/ან ავტომატური წესით/საშუალებით დამუშავებას, გამომდინარე ბანკის მართლზომიერი მიზნებიდან.

4. კლიენტისთვის გადაცემული პინ კოდი ფიქსირდება ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს სატელეფონო პინ-კოდის ციფრების კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს მოქმედი პინ-კოდი და გადასცეს კლიენტს ახალი პინ-კოდი. კლიენტის მიერ სატელეფონო პინ-კოდის დავიწყების შემთხვევაში, ბანკის მხრიდან არ ხორციელდება კლიენტისთვის პინ-კოდის შეხსენება და კლიენტის სურვილისამებრ გაიცემა ახალი პინ-კოდი.

5. ბანკი არ იღებს პასუხისმგებლობას კლიენტის მიერ მესამე პირისთვის სატელეფონო პინ-კოდის გადაცემის და/ან პინ კოდის დაკარგვის/მოპარვის გამო დამდგარ, კლიენტისთვის არასასურველ, შედეგებზე. კლიენტის მიერ სატელეფონო პინ-კოდის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით შეატყობინოს ამის შესახებ ბანკს და უფლებამოსილია გააუქმოს მომსახურება სატელეფონო პინ-კოდით ან შეცვალოს სატელეფონო პინ-კოდი.

6. ბანკსა და კლიენტს შორის კონკრეტულ სატელეფონო პინ-კოდზე დადებული ყოველი ახალი ხელშეკრულება აუქმებს იმავე სატელეფონო პინ-კოდზე არსებულ ყველა წინა (ძველ) ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებას.

7. ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება ბანკში კლიენტის ბოლო ანგარიშის დახურვისთანავე.

თავი IX

მომსახურება "საბანკო მომსახურების პაკეტებით"

საერთო დებულებები

მუხლი 26.

1. კლიენტისთვის თითოეულ პაკეტში შემავალი საბანკო მომსახურების გაწევა ხორციელდება თითოეულ პროდუქტზე გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების/ შეთანხმების საფუძველზე.
2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის კლიენტი უკვე სარგებლობს შესაბამის პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტ(ებ)ით, მაშინ აღნიშნულ პაკეტში შემავალი, კლიენტზე უკვე დარეგისტრირებული საბანკო პროდუქტ(ებ)ის ხელახალი რეგისტრაცია და აღნიშნულ პროდუქტებზე ახალი ხელშეკრულებების/შეთანხმებების გაფორმება აღარ ხდება.
3. საბანკო მომსახურების პაკეტის მინიჭების შესახებ ხელშეკრულება მოქმედებს ბანკში კლიენტის ყველა ანგარიშის დახურვამდე, ან საბანკო მომსახურების პაკეტის შეცვლამდე.

მომსახურება "საბანკო მომსახურების პაკეტებით"

სპეციალური დებულებები

მუხლი 27. მომსახურება სახელფასო პროექტის პაკეტით

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **"სახელფასო პროექტის პაკეტის მინიჭების შესახებ".**
2. სახელფასო პროექტის პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   - ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიშის გახსნა
   - ინტერნეტ ბანკინგის სტანდარტული პაკეტი
   - ვიზა ელექტრონი/მასტერქარდ მაესტრო ბარათი
   - სატელეფონო პინ-კოდი
3. ბანკს უფლება აქვს, კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე შეწყვიტოს სახელფასო პროექტის მომსახურებით გათვალისწინებული შეღავათები თანახმად ორგანიზაციასთან გაფორმებული ,,სახელფასო მომსახურების შესახებ" შეთანხმებისა."

მუხლი 28. მომსახურება სერვის პაკეტით

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„სერვის პაკეტის მინიჭების შესახებ“.**

2. სერვის პაკეტით მომსახურება გულისხმობს სერვის პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.

3. სერვის პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებია:

   - ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიშის გახსნა
   - SMS მომსახურება
   - ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი
   - სატელეფონო პინ–კოდი
   - ავტომატური დავალება

მუხლი 29. მომსახურება ონლაინ ანგარიშის პაკეტით

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება **„ონლაინ ანგარიშის პაკეტის მინიჭების შესახებ“.**

2. კლიენტი საბანკო მომსახურებას განახორციელებს ბანკში ვიზიტის გარეშე, დისტანციური არხების საშუალებით.

3. ონლაინ ანგარიშის პაკეტში შემავალი საბანკო პროდუქტებია:

   - ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში
   - SMS მომსახურება
   - ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი
   - სატელეფონო პინ-კოდი
   - პლასტიკური ბარათი

4. ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმში ექცევა როგორც ,,ონლაინ ანგარიშის პაკეტში“ შემავალ საბანკო პროდუქტებზე კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები/შეთანხმებები, ასევე ნებისმიერი საბანკო მომსახურების გაწევის/საბანკო პროდუქტის მიწოდების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის არსებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება, რომლებიც ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის დადებულია და/ან მომავალში დაიდება ნებისმიერი ფორმით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით გათვალისწინებული ყოველგვარი მომსახურება (მათ შორის ნებისმიერი ოპერაცია/ ტრანზაქცია, ასევე ანგარიშ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ანგარიშ(ებ)ის მართვა/განკარგვა) კლიენტის მიერ ხორციელდება ბანკის დისტანციური არხების (ინტერნეტ ბანკინგი, პლასტიკური ბარათი, ბანკომატი, SMS მომსახურება, სატელეფონო პინ-კოდი, სწრაფი გადახდის აპარატი (ე.წ. ,,ფეი ბოქსი“) და ა.შ.) საშუალებით. კლიენტი ვალდებულია ზემოთაღნიშნული ნებისმიერი სახის მომსახურება მოითხოვოს და მათ მისაღებად ისარგებლოს მხოლოდ ბანკის დისტანციური არხებით. შესაბამისად, კლიენტის მომსახურება არ ხორციელდება ბანკის ფილიალებში/სერვის ცენტრებში/

სერვის პუნქტებში ბანკის წარმომადგენლების მეშვეობით, გარდა ბანკის დისტანციური არხების ტექნიკური გაუმართავობის და/ან „ონლაინ ანგარიშის პაკეტისათვის დადგენილი ტარიფებითა და სხვა პირობებით“ განსაზღვრული შემთხვევებისა.

6. ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს „ონლაინ ანგარიშის პაკეტისთვის დადგენილი ტარიფები და სხვა პირობები“. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ტარიფები და მომსახურების სხვადასხვა პირობები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურების გაწევისას. კლიენტი ადასტურებს, რომ გაეცნო „ონლაინ ანგარიშის პაკეტისათვის დადგენილ ტარიფებს და სხვა პირობებს“, ეთანხმება მათ და პრეტენზია არ გააჩნია.

7. ხელშეკრულების/წინამდებარე დოკუმენტის და “ონლაინ ანგარიშის პაკეტისთვის დადგენილი ტარიფებისა და სხვა პირობების“ დებულებებს ენიჭებათ უპირატესი ძალა ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ხელშეკრულებათა/შეთანხმებათა მიმართ. ის საკითხები და ასევე ის ტარიფები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით/წინამდებარე დოკუმენტით და “ონლაინ ანგარიშის პაკეტისთვის დადგენილი ტარიფებით და სხვა პირობებით“, განისაზღვრება თითოეულ საბანკო მომსახურებაზე/პროდუქტზე გაფორმებული ხელშეკრულებით/შეთანხმებით და ბანკის მიერ სტანდარტულად დადგენილი ტარიფებით.

თავი X

ეკვაირინგის მომსახურების საერთო დებულებები

მუხლი 30.

1. ბანკი გაუწევს კლიენტს ეკვაირინგის მომსახურებას გადახდებზე, რომლებიც ხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისათვის გადაცემული პოს ტერმინალის მეშვეობით **Visa International** და **MasterCard International** ბარათების გამოყენებით. კლიენტი ბანკს უხდის საკომისიოს კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ზე პლასტიკური ბარათით შესრულებული ყოველი ოპერაციის თანხიდან. საკომისიოს ოდენობა განსხვავდება იმის მიხედვით, ოპერაცია სრულდება სს ,,პროკრედიტ ბანკი, საქართველოს" მიერ გაცემული ბარათით, თუ სხვა ემიტენტის მიერ გაცემული ბარათით.

2. ბანკი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში კლიენტს გადასცეს და დაამონტაჟოს პოს ტერმინალი, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და კლიენტს გადაეცემა შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით. პოს ტერმინალ(ებ)ის გადაცემა-დამონტაჟებისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი პოს-ტერმინალ(ებ)ის გადაცემისა და დამონტაჟების შესახებ.

3. კლიენტი ვალდებულია:

   3.1. შექმნას ყველა საჭირო პირობა სავაჭრო/მომსახურების ობიექტში პოს ტერმინალის დასამონტაჟებლად.

   3.2. არ გადასცეს პოს ტერმინალი მესამე პირს. მესამე პირებისთვის პოს ტერმინალის გადაცემის და/ან მისი დაკარგვის შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს მოწყობილობის სრული ღირებულება.

   3.3. მიიღოს საგადახდო საშუალებად მოქმედი **Visa International** და **MasterCard International** საბანკო პლასტიკური ბარათები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) წესებისა, ხელშეკრულების და წინამდებარე დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

   3.4. შეამოწმოს პოს ტერმინალის ანგარიშ-ქვითარზე (საბარათე ქვითარი) მითითებული ინფორმაციის იდენტურობა ბარათზე მოცემულ რეკვიზიტებთან.

   3.5. შეინახოს ანგარიშ-ქვითრები, ასევე ბარათით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები გაფორმების/შექმნის დღიდან 3 წლის განმავლობაში და წარუდგინოს ბანკს მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული ყველა რეკვიზიტი გარკვევით უნდა იკითხებოდეს. ანგარიშ-ქვითრები ხელმოწერილი უნდა იყოს ბარათის მფლობელების მიერ (ბარათის მფლობელის ხელმოწერა არ არის სავალდებულო, თუ გადახდის ოპერაცია სრულდება პინ-კოდის საშუალებით).

   3.6. ბანკის მოთხოვნის და/ან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს ბანკს პოს-ტერმინალ(ებ)ი.

   3.7. დაიცვას ბარათით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

   3.8. განახორციელოს ოპერაცია მხოლოდ და მხოლოდ ბარათის მფლობელის/ მოსარგებლის თანდასწრებით და/ან მისი თანხმობით. მოახდინოს ბარათის მფლობელის/ მოსარგებლის იდენტიფიკაცია პინ კოდის, ხელმოწერის, საჭიროების შემთხვევაში კი პირადობის დამადასტურებელი საბუთის შემოწმებით და არ დაუშვას ბარათის გამოყენება არაუფლებამოსილი პირის მიერ. ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებით ყოველგვარი გარემოებების არსებობისას, რომლებიც შეიძლება შეფასდეს, როგორც საეჭვო ან

კანონსაწინააღმდეგო, ბარათით უკანონოდ/არამართლზომიერად სარგებლობის და/ან ყალბი/მოპარული ბარათით სარგებლობის ფაქტის აღმოჩენისას, ასევე პოს ტერმინალით ან სხვა ნებისმიერი ფორმით ბარათის დაკავების/ამოღების თაობაზე ინფორმაციის/ მითითების მიღების შემთხვევაში არ დაუშვას ბარათით ოპერაციების განხორციელება, ბარათის ფაქტობრივად მფლობელ პირს ჩამოართვას ბარათი და აცნობოს ბანკს, ასევე შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. კლიენტი ვალდებულია გადასცეს ბანკს ბარათი მისი ამოღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.9. ბარათის მფლობელის მიერ საქონლის უკან დაბრუნების და/ან მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასეთ დაბრუნებაზე/უარზე კლიენტის თანხმობისას, ბარათზე განახორციელოს კრედიტული ოპერაცია. ასეთი ოპერაციისას დაუშვებელია თანხის ნაღდი ფულის სახით გაცემა კლიენტის მიერ.

3.10. შეინარჩუნოს სპეციალურ დებულებებში მითითებული ბრუნვა თითოეულ პოს-ტერმინალზე. გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალიწინებული საკომისიო.

3.11. კლიენტი და მისი თანამშრომლები, რომელთაც ამ ეკვაირინგის მომსახურების ფარგლებში მიიღეს ბანკის კონფიდენციალური ინფორმაცია, ვალდებულნი არიან არ გაამჟღავნონ ეს ინფორმაცია და არ გამოიყენონ საკუთარი ან მესამე პირის პირადი ან სხვა მიზნებისათვის.

3.12. არ მოახდინოს ფასების ცვლილება საქონელზე/მომსახურებაზე, თუ გადახდა ხორციელდება ბარათით და არა ნაღდი ფულით.

3.13. არ გაავრცელოს მცდარი ინფორმაცია პოს ტერმინალის ტექნიკური გაუმართაობის შესახებ ბარათის მფლობელის წინაშე პოს ტერმინალის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით. ბანკი იტოვებს უფლებას და კლიენტი თანახმაა აღნიშნული ვალდებულების შესრულების გასაკონტროლებლად განახორციელოს საკონტროლო შესყიდვა კლიენტის სავაჭრო ობიექტზე.

4. **ბანკი უფლებამოსილია:**

4.1. მოახდინოს კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების "ჩარჯბექის" თანხით შემცირება ("ჩარჯბექი" - ბარათის ემიტენტის მხრიდან ბანკის მიმართ ფინანსური პრეტენზია კლიენტის მიერ ბარათით შესრულებული ოპერაციის თანხის დაბრუნების თაობაზე. პრეტენზია წამოიჭრება, მაგალითად, ბარათის მფლობელის მხრიდან მის ანგარიშზე შესრულებულ ოპერაციაზე უარის თქმის შემთხვევაში და ა.შ.).

4.2. შეუზღუდავად და კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეატყობინოს საბარათე საგადახდო სისტემას ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) და/ან სამართალდამცავ ორგანოებს და/ან საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) წევრებს კლიენტის მიერ ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საეჭვო, უკანონო ან ბანკთან შეუთანხმებელი ქმედების შესახებ, შესაძლო თაღლითობის შეჩერების ან უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის მიზნით.

4.3. ჩაატაროს კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შემოწმება პოს ტერმინალის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაკონტროლების მიზნით.

4.4. შეაჩეროს კლიენტისათვის მომსახურების გაწევა და/ან მისთვის თანხების ანაზღაურება შემდეგ შემთხვევებში:

4.4.1. ბარათით შესრულებული თაღლითური, ყალბი, არამართლზომიერი, უკანონო, არასანქცირებული და/ან არაავტორიზირებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიღებისას, ოპერაციის ჩატარებიდან არაუმეტეს 180 დღის განმავლობაში.

4.4.2. ბარათის მფლობელის, ბარათის გამომშვების (ემიტენტის), საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) მიერ პოს ტერმინალის გამოყენებით შესრულებული ტრანზაქციის გაპროტესტების შემთხვევაში, სიტუაციის გარკვევამდე.

4.4.3. თუ კლიენტის ქმედებები ზიანს აყენებს ბანკის და/ან საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) ინტერესებს.

4.4.4. კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ 4.4.1-ე და 4.4.2-ე ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებების ბანკის მიერ შეტყობის მომენტისათვის კლიენტისათვის თანხები უკვე ანაზღაურებულია, მაშინ ბანკი უფლებამოსილია ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებიდან შესაბამისი ოდენობის თანხები წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესით. კლიენტს ჩამოწერილი თანხები დაუბრუნდება, თუ 4.4.1-ე პუნქტში მითითებული გარემოებები არ დადასტურდება 180 დღის განმავლობაში და/ან 4.4.2-ე ქვეპუნქტში მითითებული პროტესტი აღმოჩნდება უსაფუძვლო.

4.6. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის და/ან საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) მიერ ამ უკანასკნელის წესების თანახმად მოხდება იმის დადასტურება, რომ ბარათით შესრულებულია თაღლითური, ყალბი, არასანქცირებული და/ან არა ავტორიზირებული ოპერაცია(ები) (მიუხედავად იმისა გასულია თუ არა 4.4.1-ე ქვეპუნქტში მითითებული ვადა) და/ან 4.4.2-ე ქვეპუნქტში მითითებული პროტესტი აღმოჩნდა საფუძვლიანი, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს კლიენტისათვის მომსახურების გაწევა, ასევე არ აუნაზღაუროს/შეუწყვიტოს თანხების ანაზღაურება კლიენტს, ხოლო თუ თანხები უკვე ანაზღაურებულია და ისინი არ არის ჩამოწერილი 4.5-ე პუნქტის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც ბანკი ასევე უფლებამოსილია ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშებიდან შესაბამისი ოდენობის თანხები წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით.

4.7. გარდა ამ მუხლში მითითებული საფუძვლებისა, მომსახურების შეჩერება და/ან შეწყვეტა, ასევე ანაზღაურების შეჩერება და/ან შეწყვეტა ბანკს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით და/ან საბარათე საგადახდო სისტემით ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების არსებობისას.

4.8. განახორციელოს კლიენტთან არსებული პოს ტერმინალის შეცვლა/დემონტაჟი.

4.9. უარი თქვას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებებს.

5. კლიენტი უფლებამოსილია ექვაირინგის მომსახურების ფარგლებში ბანკისგან მიიღოს ტექნიკური მომსახურება/მხარდაჭერა, რომლის ღირებულებაც შედის კლიენტის მიერ გადახდილ საკომისიოებში.

6. ერთ-ერთი მხარის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მოთხოვოს კონტრაგენტს აღებული ვალდებულებების შესრულება, პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება და ასევე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

7. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტისთვის ფულადი სახსრების ანაზღაურებისას კლიენტის ანგარიშზე გადარიცხვის შეფერხების გამო, თუ ეს შეფერხება წარმოიშვა მესამე პირების და/ან საბარათე საგადახდო სისტემის ("ვიზას" და "მასტერქარდის" საერთაშორისო სისტემები) მიზეზით.

8. ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პოს ტერმინალის ფუნქციონირებისათვის საჭირო კავშირგაბმულობის სისტემის დროებითი გაუმართაობის გამო, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარება.

9. კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით შესრულებული ოპერაციების თანხის ანაზღაურების ვადის გადაცილებისას, კლიენტი უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, დაგვიანებული თანხის 0.5 პროცენტის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10. ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების შესრულების ვად(ებ)ის გადაცილებისას, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, დაგვიანებული თანხის 0.5 პროცენტის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

11. კლიენტს ეკისრება პოს ტერმინალის სათანადო შენახვის, დაცვისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება და შესაბამისად, კლიენტი სრულადაა პასუხისმგებელი პოს-ტერმინალის დაკარგვის, ნაწილობრივ და/ან სრული დაზიანებით მიყენებული ზიანისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ მოხდა პოს-ტერმინალის დაკარგვა ან დაზიანება (კლიენტის წარმომადგენლის/თანამშრომლისა თუ სხვა მესამე პირის მიერ). პოს-ტერმინალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, ზიანის ოდენობისაგან დამოუკიდებლად, დააკისროს კლიენტს ჯარიმა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

12. პირგასამტეხლო/ჯარიმა არ ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება/გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურებისაგან.

13. კლიენტს ეკისრება პასუხისმგებლობა პოს ტერმინალის, ბარათით შესრულებული ოპერაციების ჩეკების არასანქცირებული წვდომისათვის, ასევე გაყალბებული, მოპარული ბარათების გამოყენებით გადახდის შესრულებისათვის.

14. კლიენტი ფინანსურად პასუხისმგებელია ბანკის წინაშე კლიენტის სავაჭრო ობიექტებში ბარათის გამოყენებით შესრულებული ყველა ოპერაციისათვის, მათ შორის ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ოპერაციებისათვის.

15. ბანკი კლიენტს აუნაზღაურებს კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ბარათით შესრულებული ოპერაციების თანხას ოპერაციის განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკს აქვს უფლება, შეუჩეროს და/ან შეუწყვიტოს კლიენტს თანხების ანაზღაურება.

16. ბანკის მიერ კლიენტისთვის ოპერაციის თანხის ანაზღაურება არ განიხილება როგორც ბანკის მიერ ოპერაციის კანონიერების აღიარების ფაქტი, თუ ბანკის, სამართალდამცავი ორგანოების, ან საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები) გამოძიების შედეგად გაირკვევა, რომ ოპერაცია არამართლზომიერია ან უკანონოა.

17. კლიენტი იღებს გადახდის ვალდებულებას და ამ მიზნით ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას, საბარათე საგადახდო სისტემისგან (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები) და/ან ბარათის ემიტენტისგან ანგარიშგების მიღების დღეს, ან/და ბანკის, საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), ბარათის ემიტენტის ან მესამე პირის სასარგებლოდ თანხის გადახდის ვადის დადგომის დღეს, ხელშეკრულების/წინამდებარე დოკუმენტის პირობების თანახმად, ხელშეკრულებაში მითითებული კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)იდან და ასევე ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი სხვა ანგარიშ(ებ)იდან წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესით თანხა ჩამოწეროს ბანკის, საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), ბარათის ემიტენტის და/ან მესამე პირის სასარგებლოდ, კერძოდ:

17.1. ხელშეკრულებ(ებ)ით და/ან წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ბანკის საკომისიოს თანხა, პირგასამტეხლო, ჯარიმა და/ან სხვა ნებისმიერი სახის გადასახდელი თანხა.

17.2. თანხები, რომლებიც ჩამოეწერა ბანკს საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), ბარათის ემიტენტის, მესამე პირის მოთხოვნით, ან ბარათის მფლობელის განცხადების საფუძველზე, იმ ოპერაციებთან მიმართებაში, რომლებიც კლიენტის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში განხორციელდა ბარათის გამოყენებით, მათ შორის “ჩარჯბექის” თანხა.

17.3. თანხები, რომლებიც წარმოადგენს ბარათის გამოყენებით განხორციელებული კრედიტული ოპერაციის შედეგს (საქონლის დაბრუნება და მომსახურებაზე უარის თქმა და ა.შ.).

17.4. “ჩარჯბექის” დამუშავებასთან დაკავშირებული ბანკის დანახარჯების საკომპენსაციო თანხა.

17.5. ყველა კომპენსაციის, კურსთა სხვაობის, პირგასამტეხლოს, ჯარიმის და სხვა გადახდების თანხები, რომლებიც წარმოადგენს ბარათის მომსახურების პირდაპირ თუ არაპიდაპირ შედეგს.

17.6. ხელშეკრულებისა და წინამდებარე დოკუმენტის პირობების, საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ბანკისათვის მიყენებული ზიანის თანხა.

18. ყველა ის საკითხი, რომელიც ხელშეკრულებითა და წინამდებარე დოკუმენტით არ რეგულირდება, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და საბარათე საგადახდო სისტემის (“ვიზას” და “მასტერქარდის” საერთაშორისო სისტემები) წესებით.

19. წინამდებარე დოკუმენტის ზოგადი ნაწილის მე-4 მუხლის (”ხელშეკრულების შეწყვეტა”) პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული ვადების განმავლობაში ანგარიშწორების შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ ანგარიშსწორების ვადა განისაზღვროს 180 დღით ბარათის საშუალებით უკანასკნელი ოპერაციის ჩატარების დღიდან.

ეკვაირინგის მომსახურების სპეციალური დებულებები

მუხლი 31. სტანდარტული ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„სტანდარტული ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულება“.**

2. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული საშეღავათო პერიოდის დამთავრებიდან ყოველი შემდგომი თვის განმავლობაში ხელშეკრულებაში მითითებულ პოს ტერმინალზე ყოველთვიურად არ დაფიქსირდება ბრუნვა 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, კლიენტი ვალდებულია, წინამდებარე დოკუმენტში და/ან ხელშეკრულებაში მოცემული საკომისიოს გარდა, დამატებით გადაუხადოს ბანკს ფიქსირებული ყოველთვიური საკომისიო 20 (ოცი) ლარის ოდენობით. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ეკისრება კლიენტს ყოველი იმ თვისათვის, რომელშიც არ დაფიქსირდება ამ მუხლით დადგენილი ბრუნვა. საკომისიოს გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად იმ რიცხვში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების რიცხვს.

3. თუ სტანდარტული ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულებების საფუძველზე კლიენტი ერთდროულად ფლობს სამ ერთეულ პოს-ტერმინალზე მეტს, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების არსებობისას საკომისიოს ოდენობა 20 (ოცი) ლარის ნაცვლად შეადგენს 10 (ათი) ლარს ზემოაღნიშნულ თითოეულ პოს ტერმინალზე.

4. ამ მუხლში მითითებული თვეების ათვლა წარმოებს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

მუხლი 32. სეზონური ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება **„სეზონური ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულება“.**

2. თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ პოს-ტერმინალზე არ დაფიქსირდება წლიური ბრუნვა 48 000 (ორმოცდარვა ათასი) ლარის ოდენობით, კლიენტი ვალდებულია, წინამდებარე დოკუმენტში და/ან ხელშეკრულებაში მოცემული საკომისიოს გარდა, დამატებით გადაუხადოს ბანკს ფიქსირებული საკომისიო შემდეგი ოდენობით: დადგენილი წლიური ბრუნვის (48 000 ლარი) ყოველ 4000 (ოთხი ათასი) ლარის დანაკლისზე - 20 (ოცი) ლარი. აღნიშნული საკომისიოს გადახდა ეკისრება კლიენტს ყოველი იმ წლისათვის, რომელშიც არ დაფიქსირდება ამ მუხლით/ხელშეკრულებით დადგენილი ბრუნვა. საკომისიოს გადახდა უნდა მოხდეს ყოველწლიურად იმ თვესა და რიცხვში, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების გაფორმების თვესა და რიცხვს.

3. თუ სეზონური ტიპის ეკვაირინგის ხელშეკრულებების საფუძველზე კლიენტი ერთდროულად ფლობს სამ ერთეულ პოს-ტერმინალზე მეტს, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული პირობების არსებობისას საკომისიოს ოდენობა 20 (ოცი) ლარის ნაცვლად შეადგენს 10 (ათი) ლარს ზემოაღნიშნულ თითოეულ პოს ტერმინალზე.

მუხლი 33. თანხის სადეპოზიტო სეიფის („სეიფის“) მეშვეობით შემოტანის ხელშეკრულება

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება “თანხის სადეპოზიტო სეიფის („სეიფის“) მეშვეობით შემოტანის თაობაზე”.

2. სეიფით სარგებლობა შესაძლებელია სეიფის ბარათით, რომელიც წარმოადგენს არაპერსონიფიცირებულ ბარათს. ბარათის იდენტიფიცირება შესაძლებელია მინიჭებული უნიკალური ნომრით.

3. სეიფის მეშვეობით ნაღდი ფულის ბანკში შემოტანის დღიური ლიმიტი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართით. დანართში ლიმიტები მოცემულია ლარში, ხოლო აშშ დოლარისა და ევროს შემთხვევაში, ლიმიტები განისაზღვრება ტრანზაქციის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ ლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. ერთი კალენდარული დღის განმავლობაში სეიფის მეშვეობით შემოტანილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დანართში მითითებულ კლიენტის ლიმიტს, მიუხედავად ბარათით მოსარგებლეებისათვის იმავე დანართითვე განსაზღვრული ლიმიტების ოდენობისა.

4. დანართით განისაზღვრება შემდეგი სახის ინფორმაცია: კლიენტის სახელი, გვარი/ დასახელება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში ასევე: საიდენტიფიკაციო კოდი, უფლებამოსილი პირის სახელი-გვარი და პირადი ნომერი; ინფორმაცია სეიფის თითოეული ბარათის შესახებ: ბარათის ნომერი, ბარათით მოსარგებლის სახელი-გვარი და პირადი ნომერი, კლიენტის მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი, ბარათის მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი, ბარათთან დაკავშირებული ანგარიშები.

5. კლიენტის მოთხოვნით შესაძლებელია გაფორმდეს ახალი დანართები, რომლებიც დაემატება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკს გააჩნია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა, გააკონტროლოს ბარათის გამოყენება, ისევე როგორც გააჩნია ვიდეოკამერები, რომლითაც ახორციელებს დაკვირვებას სეიფით ფულის შემოტანის პროცესზე. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერი დავის ან უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენოს სათვალთვალო კამერის ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება;

7. ბანკის მიერ კლიენტის შემოტანილი თანხის გადათვლას არ ესწრება კლიენტი და/ან მისი წარმომადგენელი (მათ შორის ბარათით მოსარგებლე).

8. ბანკი ვალდებულია:

   8.1. დანაკლისის ან ზედმეტობის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე;

   8.2. დაუმზადოს კლიენტს მის მიერ დანართით განსაზღვრული ბარათით მოსარგებლეებისათვის სეიფის ბარათ(ებ)ი. ბარათების რაოდენობა არ არის შეზღუდული, ამასთანავე, თითოეულ ბარათით მოსარგებლეზედასაშვებია მხოლოდ ერთი აქტიური სეიფის ბარათის არსებობა.

   8.3. სეიფის ბარათი გადასცეს უშუალოდ ბარათით მოსარგებლეს.

9. კლიენტი ვალდებულია:

9.1. უზრუნველყოს ბარათით მოსარგებლეთა მიერ ხელშეკრულების გაცნობა და პირობების განუხრელად დაცვა.

9.2. უზრუნველყოს საიმედო ბარათით მოსარგებლეების შერჩევა მათთვის სეიფის ბარათების გადაცემის მიზნით.

9.3. ერთპიროვნულად აიღოს პასუხისმგებლობა ბანკის წინაშე ბარათით მოსარგებლის მიერ ნაღდი ფულის შემოტანით გამოწვეულ დანაკლისზე;

9.4. უზრუნველყოს, თითოეული ბარათით მოსარგებლის მიერ სეიფით ნაღდი ფულის შემოტანამდე, თანხის დათვლა და შემოტანა მხოლოდ სეიფის ეკრანზე მითითებული დანიშნულებით. უზრუნველყოს ბარათით მოსარგებლეთათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სეიფით სარგებლობის წესის დეტალურად გაცნობა;

10. კლიენტი უფლებამოსილია:

10.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ბარათით მოსარგებლეთა რაოდენობა და ვინაობა;

10.2. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს ბარათით მოსარგებლეზე გაცემული სეიფის ბარათის გაუქმება და/ან დაბლოკვა (სატელეფონო ზარის მეშვეობით ან პირადად ფილალში ვიზიტით), ისევე, როგორც დაბლოკილი სეიფის ბარათის აღდგენა/განბლოკვა (მხოლოდ პირადად ფილიალში ვიზიტით);

10.3. მოითხოვოს ბარათით მოსარგებლის დამატება;

11. ბარათი გაუქმდება, თუ ბარათის შეკვეთიდან ან/და დაბლოკვიდან ერთი თვის ვადაში არ მოხდება ბარათის განბლოკვა და გატანა.

12. ხელშეკრულება ფორმდება განუსაზღვრელი ვადით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

14. კლიენტის და/ან ბარათით მოსარგებლის მიერ ხელშეკრულების დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე შესრულებული ქმედებები იურიდიულ ძალას ინარჩუნებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. მხარის ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე, თითოეული მხარის მიერ ექვემდებარება სავალდებულო შესრულებას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.